140
1962/6

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

6 ივნისი 1962




პლაკატი მხატვარ თ. ჯიშკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს მისალმება საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაციისადმი . . . . . . . 4
**ნ. გურგენიძე**—მოსკოვი, 1962 წლის აპრილი . . 5
**ნ. ჯავახიშვილი**—ბავშვთა დაცვის დღე (წერილი) 7
**რ. მარგიანი**—მეც ვიყავი პიონერი. მესაყვირე ბიჭი ვიყავ (ლექსები) . . . . . . . . . . . . 8
**ლ. ქიქინაძე**—ასჯერ გაზომე... (მოთხრობა) . . . 9
**ლ. სულაბერიძე**—ჯილდა და მისი მეგობრები (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . 12
**თ. შათირიშვილი**—მზე იცინის (ლექსი) . . . . . 14
პ ი ო ნ ე რ უ ლ ი ც ნ ო ბ ე ბ ი მ ო ძ მ ე რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი დ ა ნ . . . . . . . . . . . . . . 15
**გ. ასათიანი, ო. დეკანოსიძე**—ალჟირი (ფოტორეპორტაჟი) . . . . . . . . . . . . . . 15
**ზ. ლეშკაშელი**—ორი გურამი (ფელეტონი) . . . 18
**რ. ელანიძე**—პატარა კახი (მოთხრობა) . . . . 19
**ნ. ბურკე**—ლურჯი შუშის ნატეხი (მოთხრობა. თარგმნა გ. ბ ა ლ ა თ უ რ ი ა მ) . . . . . . . 23
**ქ. გოგიაშვილი**—მარინე. ტყის მეგობარი. წარწერების ოსტატი (ლექსები) . . . . . . . . . 25
კვირა დღე ჩვენს ეზოში—(ფოტორეპორტაჟი) . . 26
ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი . . . . . . . . . . . . . 28
**ვ. სიდამონიძე**—სახალხო გმირი კაცია გმირიძე (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . 29
**ზ. ჭუმბურიძე**—საიდან წარმოდგა თვეების სახელები 30
მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე . . . . . . . . . 32
თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ დ რ ო ს . . . . გარეკანის . . . 4

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის **ო. სულავას.**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **ზ. კაპანაძის, თ. სამსონაძის, რ. ცუცქირიძის, ო. ჯიშკარიანის, გ. ფოცხიშვილისა** და **დ. ხახუტაშვილის** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია:
**რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედ.), **რ. ქორქია, ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე**

# პიონერი

6 ი ვ ნ ი ს ი 1962

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



საზეიმო ხაზი თბილისის ლენინის სახელობის მოედანზე 1962 წლის 19 მაისს




19 მაისს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავის დღეს, საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ ნორჩ ლენინელთა კოლონები. ალმებით, ტრანსპარანტებით, ყვავილებით, ჰაერბურთებით ისინი გაემართნენ ლენინის სახელობის მოედანზე. იქ გაიმართა თბილისელ პიონერთა საზეიმო ხაზი ღირსშესანიშნავი თარიღის, ნორჩების დღესასწაულის აღსანიშნავად.

საზეიმო ხაზმა ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა. მასში მონაწილეობა მიიღო ათასობით ნორჩმა ლენინელმა.

ამავე დღეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ჩატარდა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო-საიუბილეო სხდომა. სხდომაზე ნორჩ ლენინელებს სიტყვით მიმართა და მხურვალედ მიულოცა სახელოვანი დღესასწაული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვასილ მჟავანაძემ.**



# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

**საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის მისი დიდი მუშაობის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **მ. გეორგაძე**

მოსკოვი, კრემლი, 1962 წლის 17 მაისი.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.
2. ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური.
3. თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.
4. თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი.
5. თბილისის თოჯინების თეატრი.
6. ჟურნალი „პიონერი".
7. ჟურნალი „დილა".
8. გაზეთი „ნორჩი ლენინელი".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. ბელდიაშვილი**

ქ. თბილისი
1962 წლის 18 მაისი

კომუნისტური პარტიის საქმისათვის
საბრძოლველად იყავით მზად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაციისადმი

ძვირფასო ბავშვებო, საბჭოთა კავშირის ნორჩო პიონერებო!

დღეს თქვენი შესანიშნავი იუბილეა — საბჭოთა კავშირის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ორმოცი წლისთავი. გულითადად მოგილოცავთ, ნორჩო ლენინელებო, ამ ნათელ და სასიხარულო დღესასწაულს.

თქვენთან ერთად პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი. წითელ პიონერულ ყელსახვევს სიამაყით ატარებდნენ ისინი, ვინც ქმნიდა პირველ კოლმეურნეობებს, ვინც ტაიგაში აშენებდა ახალ ქალაქებსა და ქარხნებს, ვინც იმორჩილებდა მძლავრ მდინარეებს, ვინც ტეხდა საუკუნოვან ყამირს, ვინც შტურმით იღებდა კოსმოსს, ვინც თავდადებით შრომობს კომუნისტური შრომის ბრიგადებში. თავიანთი პიონერული ფიცის, ილიჩის ანდერძთა ერთგული იყვნენ ყოველთვის ისინი, ვინც სიცოცხლეს სწირავდა ჩვენი სამშობლოსათვის, თქვენი ბედნიერებისათვის ბრძოლებში.

დღეს პიონერულ ყელსახვევს — წითელი დროშის ნაწილს ატარებთ თქვენ, ჩვენი ნორჩი ცვლა.

დიდი და სასახელო გზა გამოიარა 40 წელიწადში ლენინის სახელობის პიონერულმა ორგანიზაციამ, საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი ბავშვები, ხარობს ნორჩ პიონერთა საქმეებითა და გმირობით.

ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანები, სიყვარულითა და მადლიერებით ვიგონებთ პირველ პიონერებს, რომლებიც იბრძოდნენ ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ, ასწავლიდნენ უწიგნურებს, ეხმარებოდნენ პარტიასა და ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ნორჩი პიონერები იბრძოდნენ პარტიზანულ რაზმებში, იყვნენ მზვერავები, მორიგეობდნენ ჰოსპიტლებში, ზრუნავდნენ მებრძოლთა ოჯახებისათვის, შრომობდნენ მინდვრებსა და ქარხნებში.

სამარადისოდ დარჩება ჩვენი ხალხის ისტორიაში გმირი პიონერების — პავლიკ მოროზოვის, კოლია მიაგოტინის, კიჩან ჯაკიპოვის, გრიშა აკოფიანის, ვალია კოტიკის, ლენა გოლიკოვის, მარატ კაზეისა და ბევრი სხვა მამაცი ბავშვის სახელი, რომლებმაც გმირული საქმენი განახორციელეს საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ჩვენ ვხედავთ, თუ რა წმიდად ასრულებენ ჩვენი დროის ნორჩი ლენინელები ლენინის მითითებას: „მხოლოდ შრომით მუშებთან და გლეხებთან ერთად შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები". ბავშვები ამშვენიერებენ სამშობლოს ბაღებით, მოჰყავთ სიმინდისა და შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი, აგროვებენ ლითონის ჯართს, იცავენ ბუნებას. ეს ძალიან კარგია.

თქვენ ზეიმობთ იუბილეს კომუნიზმის გარიჟრაჟზე. ჩვენი პარტიის XXII ყრილობამ მიიღო კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა, რომელშიც განსახიერებულია დიდი ლენინის იდეები. კომუნიზმი მილიონობით ადამიანის ნათელი ოცნებაა, ის საზოგადოებაა, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა.

უფროსი თაობა, რომელმაც ბევრი იშრომა მშვენიერი მომავლისათვის, კომუნიზმის ესტაფეტს გადასცემს ახალგაზრდობას, ლენინურ კომკავშირს. თქვენ კი, ნორჩი ლენინელები, იყავით მზად და მიიღეთ ეს ესტაფეტი თქვენი უფროსი ძმებისა და დებისაგან.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა უზრუნველყვეს თქვენი ბედნიერი ბავშვობა. თქვენთვის აშენებულია შესანიშნავი სკოლები და სასახლეები, სტადიონები და ჯანმრთელობის კერები, პიონერული ბანაკები და პარკები. „ყოველივე საუკეთესო ბავშვებს!" — ლენინის ამ მითითებას ახორციელებს კომუნისტური პარტია.

ფართო ჰორიზონტებს, ნათელ მიზნებს სახავს ნორჩი თაობის წინაშე კომუნისტური პარტიის პროგრამა. თქვენ უნდა ამრავლოთ ჩვენი მშობლიური მიწის სიმდიდრენი, შეცვალოთ მდინარეთა დინება, აშენოთ რთული, გონიერი მანქანები. თქვენ განაგრძობთ კოსმოსის შტურმს, გამოიცნობთ ბუნების ბევრ საიდუმლოებას. იოცნებეთ, შექმენით, გამოიჩინეთ შემართება!

ძვირფასო ბავშვებო! საბჭოთა ხალხის დიად საქმეთა ღირსეული განმგრძობი რომ გახდეთ, თქვენ უკვე ახლა, პიონერულ ასაკში, უნდა შთაინერგოთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლის თვისებანი.

იზარდეთ შრომისმოყვარენი, პატივი ეცით ყოველ შრომას. ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის შრომა ყოველი საბჭოთა ადამიანის ცხოვრების აზრი, ნამდვილი ბედნიერებაა. გახსოვდეთ, მხოლოდ მილიონობით ადამიანის შრომით, შრომითა და შრომით შეიძლება აშენდეს კომუნიზმი.

ბეჯითად დაეუფლეთ მეცნიერებათა საფუძვლებს. თქვენთვის, ბავშვებო, ყველაზე მთავარია ისწავლოთ წარჩინებით, გამოიყენოთ მიღებული ცოდნა ცხოვრებაში. რაც უფრო მეტი იცის და შეუძლია ადამიანს, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს იგი საზოგადოებას. თუ ცოდნა არ გვექნა, არ იქნება კომუნიზმი.

გიყვარდეთ ჩვენი დიადი, მრავალეროვანი სამშობლო, ამრავლეთ მისი დიდება, იცხოვრეთ ერთსულოვნად და ხალისიანად, გაკაჟდით, ყველაფერში მხარი გაუსწორეთ თქვენს ხელმძღვანელს — ლენინურ კომკავშირს.

ნორჩო პიონერებო!

თქვენს დროშაზე ამოკვეთილია ლენინის სახელი. გაიზარდეთ კომუნისტები — ლენინელები. იშრომეთ ლენინურად. ისწავლეთ ლენინურად. გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო ისე, როგორც ჩვენს ძვირფას ილიჩს უყვარდა.

კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი, 1962 წლის აპრილი

აპრილის თვეში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი განსაკუთრებულად ლამაზი და ხალისიანი იყო. გაზაფხულისათვის მეტი შნო და ლაზათი მიეცა დიდი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ოთხი ათას ჭაბუკსა და ქალიშვილს. ეს —19 მილიონიანმა ახალგაზრდობის არმიამ წარმოგზავნა ისინი თავის დიდ ფორუმზე — საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მე-14 ყრილობაზე, რათა ჩვენმა ახალგაზრდობამ მოახსენოს მშობლიურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს კომკავშირის დიდი შემოქმედებითი შრომის, მრავალი სასარგებლო თაოსნობის, სწავლასა და შრომაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე მოპოვებული წარმატებების შესახებ.

სულ რამდენიმე თვით ადრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე, რომელსაც კომუნიზმის მშენებლობის ყრილობა ეწოდა, მიღებულ პარტიის ახალ პროგრამაში ოქროს ასოებით იქნა ჩაწერილი, რომ „ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს“. ამ ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის როლი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. მან უნდა მოამზადოს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა თაობა, რომელიც იცხოვრებს, იმუშავებს და საზოგადოებრივ საქმეებს წარმართავს კომუნიზმის დროს.

სწორედ ამიტომ განიხილა მე-14 ყრილობამ საკითხი: „საკ ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“, რათა მიეღო კომკავშირის საქმიანობის კონკრეტული გეგმა უახლოესი წლებისათვის.

ყრილობაზე ამ ხუთი დღის განმავლობაში, როგორც ყოველთვის და ყველგან, დელეგატებს თავს დანათოდა კომუნისტური პარტიის დიდი ბელადისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავი სახე. დელეგატებს აგონდებოდათ შორეული დღეები, როდესაც ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მე-3 ყრილობაზე თავის ისტორიულ სიტყვას წარმოსთქვამდა ვ. ი. ლენინი. მაშინ არც ასეთ ფართო და ნათელ სასახლეში მიმდინარეობდა ყრილობა და არც ასე მრავალი იყო დელეგატთა რიცხვი... რუხი ფერის მაზარებიანი ქალიშვილები და ჭაბუკები ანთებული თვალებით მიჩერებოდნენ თავიანთ დიდ მასწავლებელს, რომელიც მათ სწავლა-აღზრდის საქმის ძირფესვიანად გარდაქმნისაკენ მოუწოდებდა.

კომკავშირი ამაყობს იმით, რომ მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში პარტია მას სკოლასთან ერთად ყოველთვის უთმობდა და უთმობს საპატიო ადგილს და განსახორციელებლად დიდსა და სერიოზულ ამოცანებს უსახავს. მართლაც, საბჭოთა სკოლის განვითარების ყველა ეტაპზე კომკავშირი ყოველთვის იყო სწავლისა და აღზრდის საქმის სრულყოფისათვის ბრძოლის ავანგარდში. ამას მოწმობს უკანასკნელი წლების მანძილზე მოპოვებული წარმატებები, რომელთა შესახებ ვრცლად ილაპარაკეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პავლოვმა საანგარიშო მოხსენებაში და კამათში გამოსულმა დელეგატებმა. მათ აღნიშნეს, რომ კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის პარტიის ინიციატივით განხორციელებულ ღონისძიებებში, რომ



მათ დიდად შეუწყეს ხელი სკოლის კავშირის განმტკიცებას ცხოვრებასთან. საბჭოთა სკოლის აღსაზრდელებს ისეთი ინტენსიური მონაწილეობა არ მიუღიათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, როგორც ამჟამად; არასოდეს არ ყოფილან ისინი აღჭურვილნი ისეთი ფართო განათლებითა და შრომითი საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით, როგორც ამჟამად. ყოველივე ამან თავის მხრივ გაამდიდრა და უფრო საინტერესო გახადა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა, გააუმჯობესა მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმე. ყრილობამ აღნიშნა, აგრეთვე, რომ პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცების საქმეში. კმაყოფილებით აღინიშნა, აგრეთვე, რომ პიონერულ მოძრაობაში ახალი აღმავლობა გამოიწვია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავის იუბილესათვის მზადებამ, რამაც პიონერული რაზმებისა და რაზმეულების ცხოვრებაში შეიტანა უფრო მეტი რომანტიკა. შეჯიბრება — „შვიდწლედის თანამგზავრი" რაზმებისა და რაზმეულის საპატიო წოდების მოსაპოვებლად, პიონერთა კომუნისტურად სწავლა-აღზრდის ნამდვილ სკოლად გადაიქცა. აქვე ითქვა პიონერული მოქმედების ზონებზე, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებზე და სხვ. მაგრამ, მხოლოდ წარმატებებზე როდი იყო ლაპარაკი ყრილობაზე. ყრილობამ სერიოზული ყურადღება დაუთმო სწორედ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობაში.

ყრილობის ყოველი დღე აღსავსე იყო ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით, დაუვიწყარი შეხვედრებით; ერთი დღე კი ყველაზე განსაკუთრებული იყო, — დიდი ოვაციით შეხვდნენ დელეგატები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს; ეს წუთი დიდხანს ემახსოვრებათ დელეგატებს — მათ სიტყვით მიმართავდა ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ახალგაზრდობას ცოდნის დაუფლებისაკენ მოუწოდებდა. რადგან კომუნიზმის აშენება შეეძლებათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც შეითვისებენ წინა თაობათა გამოცდილებასა და ცოდნას, ღრმად დაეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს.

დარბაზში გაისმა საყვირის ხმები. ეს — პიონერები მოვიდნენ თავისი უფროსი ძმის, კომკავშირის ყრილობაზე მისასალმებლად. ისინი უპატაკებენ თავიანთ უფროს დებსა და ძმებს მათი შრომითი მიღწევების შესახებ. ომახიანად გუგუნებს პიონერული „მზად ვართ!"

ყველა, ვინც უყურებდა და ისმენდა სიჭაბუკისა და ახალგაზრდობის ამ გრანდიოზულ ზეიმს, რწმუნდებოდა, რომ მომავალი ეკუთვნის ახალგაზრდობასა და კომუნიზმს.

**ნელი გურგენიძე.**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი



კომკავშირის მე-14 ყრილობა. კოსმონავტი ი. გაგარინს შემოაქვს კომკავშირის დროშა.

მოსკოველი პიონერების საზეიმო შეკრება წითელ მოედანზე.

# ბავშვთა დაცვის დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე—1 ივნისი დაწესებულია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მიერ, მშვიდობის მომხრეთა ძალების მობილიზაციის მიზნით.

ომის საშინელებანი ყველაზე მძიმე და ხანგრძლივ დაღს ასვამს ბავშვებს. რამდენი ასეული ათასი ბავშვი გახდა მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლი, რამდენი დარჩა უსახლკაროდ და უდედმამოდ, რამდენი ჩამორჩა ზრდა-განვითარებას შიმშილისა და გაჭირვების გამო.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, პროტესტს ვუცხადებთ ომის გამჩაღებლებს, ხმას ვიმაღლებთ ატომისა და წყალბადის ყუმბარების გამოცდის წინააღმდეგ, მოვითხოვთ შეიარაღებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირებას, რათა ეს თანხები ხალხის კეთილდღეობას მოხმარდეს.

ჩვენი სახელმწიფო დაუღალავად ზრუნავს იმისათვის, რომ ნორჩი თაობა აღიზარდოს ჯანსაღ, განათლებულ, კაცთმოყვარე ადამიანებად.

შვილების აღზრდისათვის საბჭოთა მთავრობა დედებს ორდენებითა და მედლებით აჯილდოებს, აძლევს მათ ფულად დახმარებას, რომელიც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენს, უქმნის ქალს ყველა პირობას, რომ მან შეძლოს ბავშვების აღზრდა და ამავე დროს, გამოააშკარაოს და განავითაროს საკუთარი ნიჭი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დედასა და ბავშვზე დაუღალავმა ზრუნვამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა კავშირში, რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, ექვსჯერ შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა.

საბჭოთა ოჯახს ბავშვების აღზრდის საქმეში ფრიად მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საბავშვო დაწესებულებები—საბავშვო ბაგები და ბაღები. ამჟამად საბავშვო ბაგებსა და ბაღებში ოთხ მილიონამდე ბავშვი იზრდება, ხოლო შვიდწლედის ბოლოს საბავშვო დაწესებულებები თითქმის ორჯერ მეტად გაიზრდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაო დღის შემცირება, ეს საბჭოთა ქალებს საშუალებას აძლევს მეტი დრო დარჩეს ბავშვების აღსაზრდელად.

საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ქსელის ზრდა, საოჯახო სამუშაოების მექანიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალის შრომის შემსუბუქების საქმეში და საბოლოო ჯამში ბავშვთა კეთილდღეობისაკენ არის მიმართული.

ჩვენი სახელმწიფო ერთი წუთითაც არ ივიწყებს მოზარდი თაობის სწავლის საქმეს; საბჭოთა კავშირში ამჟამად 37-ჯერ მეტი ახალგაზრდა სწავლობს, ვიდრე მეფის რუსეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილება გამოიტანა საბავშვო სათამაშოების ხარისხის გაუმჯობესების, მათი ასორტიმენტის გაფართოების შესახებ. ეს კიდევ ერთი დიდი საჩუქარია ჩვენი პატარებისათვის.

ამ თვეში მთავრდება სასწავლო წელი და ბავშვები წავლენ დასასვენებლად აგარაკებზე, სოფლებში. მოაწყობენ ექსკურსიებს, საინტერესოდ და ნაყოფიერად გაატარებენ დროს.

შარშანდელ ზაფხულს, მარტო პროფკავშირის მიერ ორგანიზებული იყო ხუთიათასზე მეტი პიონერთა ბანაკი, სადაც სამ მილიონზე მეტმა ბავშვმა დაისვენა; ხოლო კოლმეურნეთა შვილებისათვის 20 ათასზე მეტი ბანაკი იყო გახსნილი. ექსკურსიებსა და ტურისტულ ლაშქრობებში კი 6 მილიონმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებისათვის ჩვენმა სახელმწიფომ შექმნა სანატორიუმები, სკოლები—ტყეში, სადაც ბავშვები მკურნალობენ და სწავლობენ კიდეც.

მთელი ეს ზრუნვა მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენი მომავალი თაობა აღიზარდოს ფიზიკურად ჯანმრთელი, მორალურად მაღალი თვისებების მქონე, შრომისმოყვარე მოქალაქეებად.

საბჭოთა კავშირის მსგავსად, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა დიდ მზრუნველობას იჩენს ბავშვების აღზრდასა და განათლებაზე.

მაგრამ განა ყველა ქვეყნის ბავშვები არიან ასეთი ზრუნვით გარემოცულნი?

კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით ბავშვს არა აქვს საშუალება ისწავლოს, მრავალი მათგანი დაავადებულია და არ შეუძლია უფასოდ იმკურნალოს.

განსაკუთრებით მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობა აფრიკის ქვეყნებში. ეს გასაგებიც არის, რადგან აფრიკის ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ ყველაზე მძაფრია კოლონიალური ჩაგვრა. ოფიციალური მონაცემებით, ამ ქვეყნებში ყოველი ათასი ახალშობილიდან კვდება 200—300, ხოლო 16 წლის ასაკს ბავშვების მხოლოდ 50 პროცენტი აღწევს.

უმეტეს კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არის საბავშვო ბაგები და ბაღები, სამუშაოზე წასული ქალები ბავშვებს უზედამხედველოდ, ქუჩის ანაბარა სტოვებენ.

ქალთა ფედერაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე არა ერთხელ დასვა საკითხი მშრომელი ქალის უფლებების დასაცავად, ბავშვთა ჯანმრთელობისა და განათლების უზრუნველსაყოფად, შეიარაღებასთან დაკავშირებული ხარჯების შესამცირებლად და ამ თანხების ხალხთა საკეთილდღეოდ გამოყენებისათვის. ქალთა ფედერაცია იყო ერთ-ერთი ინიციატორი მშვიდობის მომხრეთა პირველი კონგრესის მოწვევისა. ქალთა ფედერაციის კონგრესების პროგრამაში ყოველთვის იდგა ბავშვთა დაცვის საკითხი. და ამას ერთ-ერთი სპეციალური კონგრესი მიეძღვნა.

დღესაც, ყველა ქვეყნის ქალები კიდევ ერთხელ აცხადებენ თავიანთ მზადყოფნას ბავშვთა დაცვის საქმისათვის საბრძოლველად.

ნინო ჯავახიშვილი,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეც ვიყავი პიონერი

მაშინ ვიყავ პაწაწინა,
როცა გავხდი პიონერი.
ის დღე ახლაც თვალწინ ბრწყინავს,
ბედნიერზე — ბედნიერი.

მხოლოდ მაღლა-მაღლა ვფრენდი
და ვარსკვლავებს ვკრეფდი ცაში,
მე ნუგეში ვიყავ დედის,
მისი ერთადერთი ვაჟი.

მოვიგონებ ხშირად ტკბილად
იმ ბედნიერ ოქროს წუთებს,
თვალს დავხუჭავ და იმ დილას
ოცნებაში ჩავიხუტებ.

მოგონებებს ფრთა გაშლია.
ვხედავ: ჩემი თავი ვიცან,
ცა ქუდად არ მიმაჩნია
და ქალამნად დედამიწა.

მოდის რაზმი, მოიმღერის,
მოელვარე დროშის რხევით
და ფრიალებს ალისფერი,
უთვალავი ყელსახვევი.

ლოყას ალის ენა ფარავს,
მოგვხვევია ყელზე ალი,
და სამშობლოს გასახარად
მოაბიჯებს მომავალი.

ერთი... ორი...
მღერის დოლი.
სკოლისაკენ რაზმი მიდის.
ჩემი გული ანათრთოლი
ვერ ისვენებს როგორც ჩიტი.

ყელსახვევის ალზე ვიწვი,
თვალშიც ბრწყინავს მისი შუქი,
მე — ძე ახალ დედამიწის
დავქრი, როგორც მზე-ჭაბუკი.

მაღლა-მაღლა ცაში ვფრინავ,
საოცნებო ჰანგზე ვმღერი,
ბუმბულივით პაწაწინა,
ცეროდენა პიონერი.

მოვიგონებ ხშირად ტკბილად
იმ ბედნიერ ოქროს წუთებს,
თვალს დავხუჭავ და იმ დილას
ოცნებაში ჩავიხუტებ.

მაშინ ვიყავ პაწაწინა,
როცა გავხდი პიონერი,
ის დღე ახლაც თვალწინ ბრწყინავს,
ბედნიერზე-ბედნიერი.

## მესაყვირე ბიჭი ვიყავ

მესაყვირე ბიჭი ვიყავ
და მედოლე მყავდა ტოლი.
ის საყვირი დღესაც მიყვარს,
მაღფრთოვანებს დღესაც დოლი.

საყვირის ხმა როც მესმის,
ბავშვობიდან მონაქროლი,
მხიარული, უთბილესი
გული მიძგერს, როგორც დოლი.

ჰე, მედოლევ, დაჰკარ მაგრად,
მესაყვირევ, დასცხე კიდევ,
ყრმობა სადღაც დამეკარგა,
იქნებ ისევ მომიფრინდეს.

პაწაწინა თქვენის ხელით
მომახვიეთ ყელზე ისევ
ჩემი ძველი ყელსახვევი,
ალისფერად მოგიზგიზე.

მაისია ჩვენში უკვე,
ყვავილებში სუნთქავს მკერდი,
დამიბრუნეთ სიჭაბუკე,
თორემ მართლა დაგიბერდით.

თორემ გული ძლიერ მიძგერს
და ხმაურობს როგორც დოლი,
ამაქროლეთ მაღლა, ცისკენ,
სადაც ბრწყინავს მზე და ბროლი.

შემიყვანეთ დროშის ტყეში,
თქვენთან მინდა გავიხარო,
სიხარული ერთი პეშვი
შევსვა, როგორც სიყრმის წყარო.

ჰე, მედოლევ, დაჰკა მაგრად,
მესაყვირევ, დასცხე კიდევ...
ყრმობა სადღაც დამეკარგა
და იქნება მომიფრინდეს.

**რევაზ მარგიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალმოხდილი თუნუქის ღუმელიც მოუნახავთ ბავშვებს. სულ მიჭყლეტილ-მოჭყლეტილია, მაგრამ როგორღაც ერთი ფეხი შერჩენია. სწორედ ამ ფეხში ჩაუვლია ხელი ბიჭს და მიაფრიალებს, გოგონას კი საწოლის ცალი თავი აუკიდია, ძლივს მიაქვს, სვენებ-სვენებით მიდის.

— მოდი რა, მომეხმარე, ხომ ხედავ, სამჯერ მეტი მომაქვს შენზე, —გასძახა წინ ხტუნვა-ხტუნვით მიმავალ ბიჭს გოგონამ.

— სამჯერ მეტი!—გამოაჯავრა ბიჭმა, — ნამდვილად შენი მოტანილი ჯართით ააგებენ ერთ ელექტრომავალს.

— რა სულ ელექტრომავალი გაკერია ენაზე! — გაცხარდა გოგონა.

ამასობაში სკოლას მიუახლოვდნენ. ეზოში ჯართის დიდი ზვინი იდგა. ბიჭმა შორიდანვე ისროლა ჟანგიანი ღუმელი და ზვინის წვერზე მოათავსა. ახლა კი დატრიალდა თამილას დასახმარებლად, წინ შეეგება. ხელი ჩაავლო საწოლის თავს, ფუჩეჩივით აიტაცა.

— მძიმეაო, ამაზე ამბობდი?

— ახლა არ მჭირდება შენი შველა. რატომ ადრე არ მომეშველე?

— მაშინ ჩემი ტვირთი მამძიმებდა.

მივიდნენ ჯართის გროვასთან.—აბა, თუ ბიჭი ხარ, ისიც იმ შენი ღუმელივით შეისროლე!—უთხრა თამილამ.



# ასჯერ გაზომე

**ლევრენტი ჭიჭინაძე**

ნახ. ზ. კაპანაძისა

მოთხრობა

— არა უშავს. ეს ისედაც კარგად მოთავსდება,—უპასუხა ბიჭმა.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ ბავშვები. ზოგს დამტვრეული ქვაბი მოჰქონდა, ზოგს ნავთქურა... ყოველგვარი ძველმანი რკინეულობა აქეთ წამოეღოთ.

— მე ერთ ადგილას ისეთი დიდი რკინა შევიგულე, რომ...

— სახეზე მური გაქვს,—გააწყვეტინა ბიჭს ვიღაცამ.

ბიჭმა ლოყაზე ცხვირსახოცი მოისვა, მაგრამ ის შავი რაღაც მაინც ვერ მოიშორა.

— მური მეგონა, თურმე ხალი ყოფილა, — დაიწყო ამხანაგმა მობოდიშება, მაგრამ ბიჭს საბოლოოდ შერჩა ზედმეტი სახელი—ხალიანა.

— მოდი ამ უსაქმურ ლაპარაკს თავი დავანებოთ. შენც წამოდი, სხვებსაც დაუძახე, ის რკინა მოვათრიოთ. ამ ნამცეცებით ასი ტონა როდის მოგროვდება?—ხალიანმა აღებული ვალდებულება მოაგონა ამხანაგებს.

— ასე უცებ გინდა ასი ტონა ჯართის შეგროვება?—შეეკითხა თამილა.

— აბა, გოგო, შენ საწოლის ერთი თავი რომ მოაკინკილე, მეორე ვის დაუტოვე? აბა, ბიჭებო, გოგოებო! წამოდით, ქუჩაში ერთი დიდი რკინა აგდია, მომატანინეთ!—თქვა და წინ თვითონ გაიქცა.

ხალიანას მთელი რაზმი აედევნა. სირბილით გავიდნენ ქუჩაში, უეცრად ხალიანა შედგა და ამხანაგებს გასძახა:

— შეჩერდით!

ბავშვები შედგნენ, თვალები დააცეცეს, მაგრამ ჯართს ვერსად მოჰკრეს თვალი.

— ბიჭო,სულ მოტყუებაზე რომ გიჭირავს თვალი, რატომ ჩამოგვაძუნძულე აქ?—უსაყვედურა ერთ-ერთმა.

მთელი რაზმი რომ გამოგვრეკე, რა არის წასაღები?! — გაკვირვებით შეეკითხა თამილაც.

— ამ რელსს ვერა ხედავთ?

პიონერები სახტად დარჩნენ, თითქოს რელსი კი არა, სხვა უფრო დიდი რამ აღმოაჩინესო. გრძელ რელსს თვალი გააყოლ-გამოაყოლეს. ხან ერთმა წაავლო ხელი, ხან მეორემ... მერე ყველამ მოსინჯა, მაგრამ რელსი ოდნავადაც ვერ შეარხიეს.

— წასაღებად კი მოვედით, მაგრამ...—დაიწყო თამილამ.

ხალიანამ აღარ დაამთავრებინა.

— ვითომ ვერ დავძრავთ?—შეეკითხა ამხანაგებს.

— არა, ეს არ მაფიქრებს, — განაგრძო ისევ თამილამ, — მე მინდა გავიგო, განა ეს ჯართია?

— აბა რა არის?—გაცხარდა ხალიანა.

— რად ცხარდები? ეს ხომ გამოსადეგია!

— შენ ამტკიცებ, რომ არაა გადასაგდები? გადაგდებულია და ეს არის... ეგერ, ქუჩაშია მიტოვებული უპატრონოდ.

ხალიანას ეგონა, უცებ გამოუცხადებდნენ მადლობას ამ აღმოჩენისათვის, მაგრამ, აი, როგორ გაჯანჯლდა საქმე. რამდენი პიონერიც იყო, იმდენი აზრი წარმოიშვა: ზოგი ჯართად არა თვლიდა, ზოგი ამბობდა, დიდიაო...

იდავეს, იჩოჩქოლეს ბავშვებმა და ბოლოს მაინც შეთანხმდნენ რელსის წაღებაზე. მართლაც, რამდენი ხანია, ყველა ხედავდა უპატრონოდ მიტოვებულ რელსს და არავის მოსვლია აზრად მისი წაღება.

რამდენიმე ბიჭმა უსიტყვოდ დასტაცა ხელი რელსს. თითოეულმა თუ ძვრაც ვერ უყო, ახლა შეერთებულმა ძალამ რელსი უცებ გადაატრიალა.

— წავიღებთ, წავიღებთ! — წამოიძახეს გახარებულმა ბიჭებმა.

— მხარზე ხომ არ გავიდოთ?—თქვა ვიღაცამ.

— ძნელია...

— გაგვჭყლეტს...

— აბა, რა ვქნათ?—იკითხა თამილამ.—ოჰ, რომ მივიტანდეთ როგორმე, ჩვენს რაიონში პირველნი ვიქნებით. თუ კიდევ დავუმატებთ, შეიძლება ერთი ელექტრომავალი მარტო ჩვენი შეგროვილი ჯართიდან დამზადდეს.

ხალიანამ გრძელ რელსს აუარ-ჩაუარა, კიდევ ერთხელ ახედ-დახედა. უცბად, შეჩერდა და იმედიანად თქვა:

— წავიღებთ! ხედავთ, ბოლოებში ნახვრეტები აქვს... ახლა ერთი გრძელი მავთული რომ გვაპოვნინა, გამოვაბამდით ამ ნახვრეტში, ჩავკიდებდით ხელს და, ჰაიდა, ბუმბულივით წავიღებდით.

— მე აქვე ვცხოვრობ, მავთულს ხელად მოვიტან,—თქვა თამილამ და შინისაკენ მოკურცხლა.

—აი, ეს არის სწორედ: ხერხი სჯობია ღონესაო!—შეაქეს ამხანაგებმა ხალიანა.

შრომა-ჯაფით სახეაჭარხლებული გოგო-ბიჭები ვალმოხდილნი გაეშურნენ შინისაკენ. ჯართი, ჯართი, მაგრამ გაკვეთილები? ჰოდა, ახლა გაკვეთილ[illegible]ბიან.

ბიბლიოთეკა

დილით ხალიანა სწრაფად წამოხტა. გამამხნევებელი ვარჯიში, საუზმე და სკოლისაკენ გაქცევა ერთმანეთს მიაყოლა, „ჩვენს ხელმძღვანელს ადრე გამოვეცხადებით“,—ფიქრობდა.

ის იყო სკოლას მიუახლოვდა, რომ თვალი მოჰკრა ჯართის გროვასთან მდგარ სატვირთო მანქანას. იქვე, საქმიანად, ხელების შლით რაღაცას ლაპარაკობდნენ უცნობი კაცები.

„ჯერ არც კი მოგვიტანია და, რა მალე მოსულან წასაღებად!“—გაუელვა გონებაში ხალიანას. გაიქცა. ეზოს დიდი ჭიშკრიდან შემოურბინა და უცებ მანქანასთან ამოჰყო თავი. მისვლისთანავე იმ კაცს შეეკითხა, რომელიც, ეტყობოდა, უფროსი იყო. მას ქუდზე რკინიგზელის ნიშანი ეკეთა.

— ძია, ამის წასაღებად მოხვედით?—ხალიანამ ჯართისაკენ გაიხედა.

— დიახ!

ბიჭი ღიმილით შეეკითხა, იმ კაცმა კი ეს ერთი სიტყვა რაღაც მკაცრი კილოთი თქვა. ალბათ, ბავშვი რომ ვარ, ასე იმიტომ მიპასუხაო, გაიფიქრა ხალიანამ და მორი-ახლო დადგა.

კაცები რელსს დაებლაუჭნენ, ასწიეს და მანქანაზე დადეს. მერე თვითონაც შეახტნენ მანქანას. მძღოლი უკვე საჭესთან იჯდა. მანქანა ათუხთუხდა. გაკვირვებული ხალიანა ისევე იმ უფროს რკინიგზელს შეეკითხა:



ჯერ წასული არ ეგონათ და თამილა უკვე მოარბენინებდა მავთულს.

მავთული ხელად გამობეს ნახვრეტში და ყველანი ერთბაშად ჩააფრინდნენ.

— აბა, ვსინჯოთ, გავწიოთ!—დაიძახა ხალიანამ. თითქოს თხელი ფიცარიაო, ისე წააცურეს რელსი და სკოლის ეზოში ქრიამული შეიტანეს.

— მარტო რელსი რომ მიგაქვთ, დანარჩენს ვის უტოვებთ?

— თქვენ.

— თუ ეგრეა, ეს რელსიც ჩვენია, არც მაგას გაგატანთ.

— შენ ვინა ხარ, ბიჭო, ასე ბრძანებით რომ ლაპარაკობ?—ძლივს გამოჩნდა ღიმილი ამ კაცის სახეზე.



— ძია, ვინცა ვარ, არ მეტყობა თუ?—მოსწავლე [illegible]
— მერე, შე კაი ბიჭო, ჩვენს რელსს არ გაგვატანთ?
— თქვენი კი არა, ჩვენია. გუშინ ძლივს [illegible]
— ვინ გეხვეწებოდათ?..
— ჯართს ვაგროვებდით.
— ჯართს?! ეს ხომ ახალი რელსია!
— ამდენ ხანს ქუჩაში ეგდო და...
— აბა, ამხელა რკინას გულში ხომ არ ჩავიხუტებდით? ეს მარტო ჩემი კი არა, შენიც არის. ყველასია. უპატრონო?! არა, ამას ბევრი პატრონი ჰყავს და გუშინ საღამოსვე შეგვატყობინეს, თქვენ რომ მიათრევდით.

ბიჭმა ხმა ველარ ამოიღო. იდგა და თვალს ველარ აშორებდა გუგუნით მიმავალ მანქანას. ბოლოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— უპატრონო მეგონა და თურმე რამდენი პატრონი ჰყოლია ამ ერთ რელსს!

სირცხვილი აწუხებდა ხალიანას, გუშინ რომ მთელი რაზმი მოიმხრო, არ იცოდა დღეს რაღა ეთქვა მათთვის. ყურში თითქოს ვიღაც ჩასძახოდა: „ასჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩ ნატურალისტთა სადგურში



ბეჯითად უვლის სათბურში გამოყვანილ ნერგებს თამარ თევზაძე.



კარგად მართავს ტრაქტორს რომანი. მის მუშაობას ყურადღებით აკვირდებიან თამარ თევზაძე და გრიგოლ ხეჩიკოვი.



ნორჩი ნატურალისტები პედაგოგ ი. ბაქრაძის ხელმძღვანელობით რგავენ ხეხილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯილდა და მისი მეგობრები



ჯილდა დათუაშვილს დღესაც მოუვიდა შორეულ მეგობრებისაგან წერილი.

## ფოსტალიონი

ფოსტალიონი რის ფოსტალიონია, თუ წერილების ჩამორიგება დაეზარება! ასეა ჩვენი უბნის ფოსტალიონიც. ვინ იცის, ვისთვის რა ცნობა, რა ამბავი მოაქვს წერილს? ფოსტალიონმა არა იცის რა, დახურულ კონვერტებში რა იმალება. ყოველი სახლის კართან ხალისიანად მიაქვს ბარათები. არიგებს და არიგებს.

დღეს რატომღაც ოდნავ გაგულისებული მიადგა ფოსტალიონი დათუაშვილების სახლს. დარეკა. სანამ კარი გაიღებოდა, თავისთვის ფიქრობდა: „დედის რძე არ შეშრობია ბაგებზე ჯერ ამ გოგოს, დედამიწის ყველა კუთხიდან ამდენი ნაცნობი როგორ გაიჩინა“. ოდნავ გაგულისებული იმიტომ იყო, რომ მთელ ქუჩაზე არავის წერილი არ იყო, ბევრი იარა, ცოტა დაიღალა კიდეც და ამ ცეროდენა გოგონას გულისთვის ამხელა გზა გამოიარა. მაინც რა ამბავია, კვირა არ გაივლის ისე, რომ ორჯერ-სამჯერ არ ამოვიდეს აქ ამ ციცქნა გოგოს გულისთვის.

ფოსტალიონი უფრო გუშინდელი დღის გამო იყო ოდნავ გაგულისებული. კონვერტზე რომ წაიკითხა, „დათუაშვილსო“, სახელისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, „ჯილდას წერილიაო“, იფიქრა და სკოლასთან რომ გაიარა, შინ მისვლა აღარ დამჭირდებაო, და სკოლაშივე გადასცა ჯილდას წერილი. წერილი კი ჯილდას დედისა აღმოჩნდა, დეიდა წერდა.

გაიღო კარი და ფოსტალიონმა კართან მომდგარ ჯილდას დედას წერილი გადასცა.

— დამაბნია თქვენმა გოგომ. გუშინ თქვენი წერილიც კი იმისი მეგონა.

— არა უშავს, არა უშავს,— ღიმილით მიუგო დიასახლისმა.

— რაღა არა უშავს. ფოსტალიონს რომ მისამართი შეეშლება, ის რა ფოსტალიონია!

ეს ისე თქვა ფოსტალიონმა, რომ ჯილდას დედამ შეამჩნია, იგი ნაწყენი იყო.

„მაინც როდის და სად მოასწრო ამდენის გაცნობა, ან ნეტავი რას წერენ ამდენსო“,—ეს რომ თქვა ფოსტალიონმა და წასვლა დააპირა, ჯილდას დედამ გაიცინა, შეაჩერა ფოსტალიონი, შინ შეიპატიჟა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით,— თავაზიანად შესთავაზა ფოსტალიონს ჯილდას დედამ.—გავხსნათ ერთი, წავიკითხოთ, ჯილდა არ გაგვიბრაზდება.

წერილი უნგრელი გოგონას, ედინა ბაროტოსაგან იყო.

დღეს შენი წერილი მივიღეო, მადლობას უხდიდა ედინა ჯილდას. გუშინ კი ჩვენი ამერიკელი ზანგი მეგობრის წერილი მომივიდაო,—მწერს, ჯილდამ რომ გვასწავლა „სიმღერა თბილისზე“, მე ჩემს ამხანაგებსაც ვასწავლე და ხშირად ვმღერითო, მოსწონთო ძალიან. ალბათ შენც მოგწერდა, მაგრამ მე მაინც გაცნობებ ამასო. მერე თავისი ამხანაგების შესახებ წერდა ედინა ჯილდას.

— უყურე ამ ციცქნა გოგონას,— შუბლგახსნილი წამოდგა ფოსტალიონი,—სად გაუწვდენია ხმა! მაგის ნასწავლ სიმღერას ამერიკაშიაც მღერიან თურმე ბავშვები! მერე რა სიმღერას, თბილისზე სიმღერას! ღმერთმა გაგიზარდოს, ქალბატონო!

— გმადლობთ, გენაცვალე!—ჭიქა ღვინო მიაწოდა ფოსტალიონს ჯილდას დედამ.

— მშვიდობა ნუ მოაკლოთ და მაგათი წერილების ტარებაში დავბერებულიყავი!

დალოცა ფოსტალიონმა ჯილდა.

## მოხარშული ჩურჩხელები

მერედა, იცით ვინ არის ჯილდა დათუაშვილი?!

თბილისის ოთხმოცდამერვე სკოლის მოსწავლეა ჯილდა. ეს სკოლა კი თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლაა. ამ სკოლის თვალისჩინია ჯილდა.

„ჯილდა ჩვენი სიამაყეა,“—ასე ამბობს პიონერხელმძღვანელი ციალა და ამას იმეორებს მთელი სკოლა.

სკოლას ერთი საუკეთესო კუთხეც აქვს მოწყობილი. ამ კუთხეს „მეგობრობის მუზეუმი“ ეწოდება. ამ მუზეუმში სათუთად ინახავენ პიონერები ყველა იმ საჩუქარს, რაც მათ გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან მეგობარმა ბავშვებმა.

კედელზე გამოფენილ სურათებში, სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს შორის ხშირად შეამჩნევთ ჯილდასაც.

ჯილდას 600-მდე წერილი აქვს მიღებული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მეგობარ ბავშვებისაგან.

განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა აქვს ჯილდას სკოლას მინსკის პირველ და ორმოცდამეთხე სკო-

ლებთან. თავიდანვე ასე გადაწყვიტეს ჯილდას სკოლის პიონერებმა: თითო მოსწავლეს თითო მინსკელ მეგობართან ჰქონდეს მიმოწერა. დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ეს წინადადება მინსკელმა პიონერებმა.

შარშან მეექვსე კლასის მოსწავლემ, გულნარა სირაძემ, ერთი მინსკელი მეგობრისაგან წერილი მიიღო:

ძვირფასო გულნარა, შენ ტანია გატყუებსო, გწერს, რომ კარგად ვსწავლობო, ის კი ოროსანიაო.

ეწყინა გულნარას. მას გულწრფელი მიმოწერა ჰქონდა ტანიასთან. მისი წერილიც გულწრფელი ეგონა გულნარას.

იმ დღესვე მისწერა გულნარამ ტანიას, ჩიტმა ამბავი მომიტანაო, შენ თურმე ცრუობო, ორები გქონიაო, სიცრუე კი მეგობრობის კავშირად არ გამოდგებაო, და თხოვდა გულნარა, რომ ტანია კარგად ჩაუფიქრდეს ამას.

ალბათ შერცხვა ტანიას და ერთხანს საპასუხო წერილს არ წერდა გულნარას. ერთ მშვენიერ დღეს კი გულნარამ სასიხარულო წერილი მიიღო ტანიასაგან. პატიებას ითხოვდა ტანია და აცნობებდა გულნარას, რომ არც ერთი ორი აღარ ჰყავს და ახლა უკვე ოთხოსნობისთვის იბრძვის.

გულნარამ ჩურჩხელები გაუგზავნა ტანიას. ტანიას თურმე მოუხარშავს ჩურჩხელები და ისე უჭამია. სიცილით მოკვდნენ გულნარა და მისი მეგობრები, ეს როცა გაიგეს.

## ამერიკელი ბიჭუნას სიმღერა

ჯილდა არა მარტო თავისი მშობლიური სკოლის, არამედ მთელი რესპუბლიკის საამაყო პიონერია. მას მთელ სიცოცხლეში არ დაავიწყდება ის დღე, როცა ის ქართველი პიონერების სახელით წარსდგა ჩვენი პარტიის ოცდამეორე ყრილობის წინაშე და უპატაკა ყრილობას პიონერული ორწლედის ბრწყინვალე შედეგები.

მაშინ კომკავშირის საკავშირო ცეკამ ჯილდა დააჯილდოვა არტეკის „მეგობრობის ბანაკის“ საგზურით.

და აი, ყირიმიც.

ზღვის პირას, მაღალი მთის წინ გაშლილა დიდი ბანაკი, სადაც იმ დღეს ჯილდასთან ერთად თავი მოიყარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბავშვებმა. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ბავშვები პირველ დღეს მორიდებით ეცნობოდნენ ერთმანეთს.

ჯილდას არასოდეს დაავიწყდება იქ გაცნობილი ამერიკელი, გერმანელი, ზანგი, პოლონელი, ბულგარელი, უნგრელი, კორეელი, ინდონეზიელი, ვიეტნამელი მეგობრები.

ორიოდე დღის შემდეგ, ერთ საღამოს, ჯილდა პიანინოს მიუჯდა და როცა წკრიალა ხმით წამოიწყო „სიმღერა თბილისზე“ გარს შემოკრებილმა ბავშვებმა სული განაბეს. სიმღერა დაამთავრა თუ არა, ბავშვები შემოეხვივნენ ჯილდას და აღტაცებულებმა თხოვეს კიდევ ემღერა.

ამერიკელ ბრაინ კანს რამდენიმე რუსული სიტყვა შეესწავლა. ჯილდამ მას ქართული სიტყვებიც შეასწავლა.

— გამარჯობა, ჯილდა! — მიესალმებოდა ხოლმე დილით ჯილდას.

— მოდი აქ, გოგონა! — დაუძახებდა ხოლმე.

თბილისზე სიმღერის ნოტი აჩუქა მას ჯილდამ. სხვებსაც აჩუქა, ედინასაც, დობრენკასაც, ზანგ გოგონასაც, გერმანელებსაც, პოლონელებსაც, ყველას, და ბანაკში განუწყვეტლივ ისმოდა მომხიბლავი სიმღერა თბილისზე.

დადის ახლა სადღაც ამერიკაში ლამაზი ბიჭუნა ბრაინ კანი, ხშირად აგონდება, ალბათ, ჯილდა, ნატრობს კვლავ მასთან შეხვედრას და ტკბილად ღიღინებს სიმღერას თბილისზე.

## მ უ ხ ა

იმ დღეს ჯილდა და მისი უცხოელი მეგობრები ყიჟინ-ყიჟინით აუყვნენ ბილიკებს და აიუდაგის ქედზე წამომართულ ასწლოვან მუხასთან შეჩერდნენ. შემოეხვივნენ ბუმბერაზ მუხას გარშემო. ზღვის ნიავი აშრიალებდა მუხას. ვინ იცის, რამდენი რამის მომსწრეა მუხა! რამდენი ქარიშხალი მიხეთქებია მუხას, მაგრამ ვერა დაუკლია რა მისთვის. მხოლოდ ერთი დიდი ფუღურო დაუტოვებია დროის ქარტეხილს მისთვის.

ხელმძღვანელი ფუღუროს აწვდა, ფუღუროდან ლამაზი კონვერტი გამოიღო, იქიდან ქაღალდი ამოაცოცა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„გესალმებით, მეგობრებო!

თქვენს ჩამოსვლამდე აქ ჩვენ ვიყავით. კმაყოფილებმა დავტოვეთ ბანაკი. ვიზეიმეთ არტეკის — მეგობრობის ბანაკის 35 წლისთავი. ბევრი რამის გაკეთება ვერ მოვასწარით.





უცხოელი მეგობრები სტუმრად ლიხელ პიონერებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასპორტო მოედნები დაგვრჩა დაუმთავრებელი. იმედი გვაქვს, რომ თქვენ დაამთავრებთ მათ“.

— ეს წერილი საიდან გაჩნდა ფუღუროში? — ჰკითხა ხელმძღვანელს გაკვირვებულმა ბრაუნ კანმა.

— ეს წერილი, — მხარზე ხელი დაადო ბრაუნ კანს ხელმძღვანელმა, — თქვენს მოსვლამდე აქ მყოფი ბავშვების დაწერილია. ტრადიციულად ყველა ცვლა წასვლის წინ აქ ამოდის ხოლმე და ფუღუროში სტოვებს ხოლმე ამგვარ წერილს. ამ ფუღუროში ბევრი ასეთი წერილი ინახება. ეს მუხა ინახავს აქ ერთმანეთთან დამეგობრებული ბავშვების მიერ მრავალნაირ ენაზე ხელმოწერილ გვარებს. თქვენც წასვლისას აქ ამოხვალთ, დასწერთ თქვენს შთაბეჭდილებებს, თქვენს სურვილებს გადასცემთ თქვენს შემდეგ ჩამოსულ ბავშვებს და შენს გვარს, ჩემო ბრაუნ, სამარადისოდ შეინახავს ეს ტანბრგე მუხა.

— აბა, ახლა ვიმღეროთ, ბავშვებო!

მუხის შრიალში გაისმა სიმღერები. გერმანელმა ბავშვებმა „სულიკო“ წამოიწყეს. ისინი გერმანულად მღეროდნენ, ჯილდა — ქართულად. ჯილდას წკრიალა ხმა შორს მიჰქონდა მუხის რტოებიდან აფრენილ ნიავს.

წამოსვლისას პიონერული კოცონები აანთეს ბანაკში. ულამაზესი იყო ზღვის პირას შეღამებისას აბრიალებული კოცონები. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ბავშვების ყიჟინი და სიმღერები დიდხანს არ დამცხრალა.

კოცონებთან პიონერებმა დათქვეს, რომ 1965 წლის 1-ლ იანვარს, საღამოს 6 საათზე შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში წითელ მოედანზე.

აიუდაგზე წამომართულ მუხის ფუღუროში ლამაზი კონვერტი ჩადეს და ჯილდას არასოდეს დაავიწყდება ის წმინდა ცრემლები, რომლებიც გამომშვიდობებისას თვალში აუციმციმდათ საყვარელ მეგობრებს აგნესას და ედიინას.

ჯილდას ახლაც თვალწინ უდგას ის მაღალი და ტანბრგე მუხა.

დადის ახლა სადღაც ამერიკაში ლამაზი ბიჭუნა ბრაუნ კანი. ღიღინებს სიმღერას თბილისზე და უამბობს თავის მეგობრებს, როგორ ინახავს მის გვარს შავი ზღვის პირას მაღალ მთაზე წამომართული ბუმბერაზი და შეურყეველი მუხა.

ლადო სულაბერიძე

ფოტო გ. შენგელიასი



*მოვრჩით სწავლას,*
*მოვრჩით სწავლას,*
*შეხეთ, რა ამინდია!..*
*დავისვენებთ,*
*სადაც წავალთ,*
*ჩვენი მხარე დიდია.*

*ახლა სოფლად მწიფობს მარწყვი,*
*მწიფობს ბალი,*
*ხართუთა,*
*ახლა ქარი ოქროს ყანას*
*თავს ევლება სათუთად.*

*გამარჯობათ, ნაძენარებო,*
*გამარჯობათ, რცხილებო,*
*ყელღაბუა ნაცარებო,*
*წვიმით დარეცხილებო!*

*ცაო ლურჯო,*
*სანაქებო,*
*ღრუბლით მიმოქარგულო,*
*თოვლისფერო ბანაკებო,*
*ვენახებო ქართულო!*

*თქვენ სალამი, აჭარლებო,*
*კახელებო,*
*სვანებო,*
*მთებო,*
*ზვრებო და ჭალებო —*
*ჯანმრთელობის სამეფო!..*

**თამაზ შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პიონერული ცნობები მოძმე რესპუბლიკიდან

ქ. ტალინის 21-ე სკოლის პიონერებმა დიდად გაიხარეს, როდესაც გაიგეს, რომ მათი რაზმეული ჯერ კიდევ 1940 წელს ჩამოყალიბებულა. თურმე, პირველ წელსვე ძალზე საინტერესო ცხოვრება ჰქონიათ პიონერებს. სწავლობდნენ რევოლუციურ სიმღერებს, ატარებდნენ ლენინისადმი მიძღვნილ შეკრებებს. სკოლაში მრავალი წრე მუშაობდა. აწყობდნენ თვითშემოქმედების დილებს, სადაც მშობლებსაც პატიჟებდნენ.

21-ე სკოლის პიონერებმა გადაწყვიტეს დაუკავშირდნენ მაშინდელ პიონერებს და მოსწავლეებს, გაიგონ მათგან თავიანთი სკოლის ისტორია და შექმნან ოცდამეერთე სკოლის პიონერული ცხოვრების მატიანე

* * *

როელანის საშუალო სკოლის მოსწავლეები ხშირად დადიან მეფრინველეობის ფერმაში და ეხმარებიან უფროსებს. ერთხელ მეურნეობამ წიწილების დიდი პარტია მიიღო და პიონერებმა თხოვეს მეურნეობის დირექტორს, წიწილებს ჩვენ მოვუვლითო, დირექტორი სიამოვნებით დათანხმდა.

მეურნეობაში 8600 წიწილა მოიყვანეს, პატარა, ყვითელი წიწილები, ბავშვები დღედაღამ მორიგეობდნენ, უვლიდნენ წიწილებს.

* * *

ხალიალასის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა ჯერ კიდევ პიონერული ორწლედის დასაწყისში აიღეს ვალდებულება, თავიანთი სოფლის ტერიტორიაზე გაეშენებინათ პარკი, სადაც მშრომელებს დასვენების საშუალება ექნებოდათ. კოლმეურნეობის ცენტრში 250 ხე დარგეს, გზის პირებიც ხეხილით დაამშვენეს. იქვე სპორტული მოედანი მოაწყეს. პიონერებს სურთ, მათი სოფელი ყველაზე ლამაზი გახდეს.

* * *

ქ. ტალინის მე-19 სკოლის პიონერები კარგა ხანია მეგობრობენ ქალაქის სამოტორო დეპოს კომუნისტური შრომის ბრიგადასთან. ჯერ, ბრიგადის ხელმძღვანელი მოიწვიეს სტუმრად, შემდეგ კი ბავშვებიც ეწვივნენ ქარხანას, სადაც ბევრი საინტერესო რამ ნახეს. ახლა ყოველ შაბათს ხვდებიან მუშებს, სწავლობენ მათგან, ხოლო თვითონ თავიანთი სწავლისა და პიონერულ ცხოვრების შესახებ უამბობენ.



# ალჟირში

უდაბნო. მზით გადამწვარი, გამოფიტული მიწა. აგერ, აქლემების ქარავანი მიზოზინებს. ეს საჰარაა — ალჟირის სახელმწიფოში შემავალი, ულმობელი, პირქუში, გაღატაკებულ მშრომელთა ოფლით უხვად მორწყული მიწა.

რომაელები, თურქები, ირანელები თვრამეტი საუკუნის მანძილზე ყვლეფდნენ, ანადგურებდნენ ქვეყანას. რაც მათ ვერ მოახერხეს, ფრანგმა კოლონიზატორებმა ამ უკანასკნელ საუკუნეში დაასრულეს. უზომო ტანჯვა და უბედურება ძოუტანეს მათ ალჟირის მშრომელებს. 1954 წლის პირველ ნოემბერს ირიანის მთებში პირველი გასროლის ხმა გაისმა, ეს აჯანყების ნიშანი იყო, მთელი ალჟირელი ხალხი აღსდგა იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. დღეს ალჟირში უკვე შეწყვეტილია საომარი მოქმედება. დაზავება მიღწეულია, მაგრამ ალჟირელ ხალხს ჯერ კიდევ ბრძოლა დასჭირდებათ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად.

ამას წინათ ალჟირში იმოგზაურეს ქართველმა კინოოპერატორებმა გიორგი ასათიანმა და ოთარ დეკანოსიძემ. მათ ბევრი რამ ნახეს. გაეცნენ ალჟირელ პარტიზანებს და მრავალი საინტერესო კადრი გადაიღეს.

გ. ასათიანი და ო. დეკანოსიძე რედაქციას ესტუმრენ, ეს ფოტოკადრები გადმოგვცეს და ბევრი საინტერესო რამ გვიამბეს ამ ქვეყნის შესახებ.

ქვემოთ. თავისუფალი ალჟირის დროშა მაღლა მიიწევს... სახალხო არმიის მებრძოლები ფიცს დებენ, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებენ თავიანთი ქვეყნის გათავისუფლებისათვის.

ზემოთ. „ძირს კოლონიალიზმი, ძირს კოლონიალიზმი!" — გაჰყვირიან ალჟირელი გლეხები და სჯერა, რომ მათ მრისხანებას ვერ გადაურჩებიან ინტერვენტები.





ბარხანებზე აქლემების წაგრძელებული კიხრები გამოჩნდა. მაღალ უნაგირებზე, ლურჯ სამოსში გამოწყობილი ადამიანები ისხდნენ. შემდეგ გავიგეთ, რომ ისინი ეგრეთწოდებული „ლურჯი ადამიანები" ყოფილან. მათ ლურჯად შეღებილი სამოსი იცავთ მზესა და ტროპიკულ წვიმას თავისი გააქვს; ტანსაცმელი ხუნდება, მაგრამ საღებავი ტანში ჯდება და ადამიანის კანს შაბიამნის ფერს აძლევს.



მოსახლეობას პარტიზანთა იმედი აქვს და აი, ამ ორ სურათზე კარგად ჩანს, ეკლიანი მავთულის გარღვეულ ღერეფანში როგორ გამოჰყავთ პარტიზანებს ტყვე ქალები და ბავშვები საკონცენტრაციო ბანაკიდან; რამდენიმე საათის წინ აქ, ბანაკის მისადგომებთან, გააფთრებული ბრძოლები იყო. ბევრი პარტიზანი შეეწირა თანამოძმეების გათავისუფლებას.



ვიდრე სანიტრები მოვიდოდნენ სახალხო არმიის მებრძოლები თვითონ უვლიან დაჭრილ ამხანაგებს.



საჰრა—საჰარა, ასე ეძახიან ამ უდაბნოს იქაურები, რადგან ცა თითქმის მუდამ მოწმენდილია, ჰაერი კი გამჭვირვალე. უზომო შუქი და მზეა ირგვლივ. მაგრამ როდესაც შუქის ამ ნამდვილ ზღვაში მოვხვდებით, მაშინ იგრძნობთ, რომ „ს მოთხის კარები ერთი წვეთი წყლით იღება". და მართლაც, დაბედეთ, როგორ ხათუთად ელოლიავებიან აქ წყალს. თიხის გამოუწვავ დოქებში ასხამენ, რომ სიგრილე უფრო კარგად შეინახოს. შემდეგ ამ დოქებს სახედრებს აჰკიდებენ და წყალს სოფელშიეზიდებიან. მართლაც რომ ოქროდ ფასობს აქ წყალი.



8203

8707

ქვედა ოთხი კადრი მაშინაა გადაღებული, როდესაც ალჟირელი ბავშვები მტრის მიერ დაკავებულ სოფლებიდან პარტიზანებმა თავისუფალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადმოიყვანეს.







ოსახლეობამ ოაზისებიდან უდაბნოში და მთებში იხიზნება. იქ შეიძლება იოლად ვერ მიუდგეს მტერი. ეს მოხუცი გადაურჩა მტრის ტყვიას, პარტიზანებთან მოვიდა და გვიყვება თავისი ოჯახის ტრაგედიაზე, როგორ აიყარნენ სოფლიდან, როგორ იშიმშილეს მთელი თვეები...



სოფლის ეს პატარა ქუჩა ოდესღაც ხალხით იყო სავსე და ბავშვებიც ხალისით დარბოდნენ თავიანთი ქოხმახების წინ, მაგრამ ახლა ეს პატარა ბიჭიღა შერჩა სოფლის ქუჩას.

ფელაჰები (ასე უწოდებენ იქაურ გლეხებს) მიწას ჯერ კიდევ ძველებური სახნისით ხნავენ. ასე ამუშავებდნენ მიწას საუკუნეების წინათ. ასეა ახლაც, კოსმოსური ხომალდების, რადიოსა და ელექტრონის საუკუნეში.



ვუყურებთ და თვალს არ ვუჯერებთ,— ნუთუ ეს არის სახელგანთქმული აღმოსავლეთის ბაზარი?! რამდენი რამ გაგვიგია, რამდენი რამ წაგვიკითხავს ზღაპრებსა და რომანებში აღმოსავლურ ხილზე, ტკბილეულზე, საქონელზე... აქ კი ერთფეროვანი ჩაცმულობა, სილარიბე და სიძვირეა..





ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორი გურამი

ფელეტონი

— ვინ შეგიძლიათ დაგვისახელოთ თქვენი კლასიდან, მისაბაძი რომ იყოს? — ვკითხეთ მე და ფოტოკორესპონდენტმა კლასის დამრიგებელს, როგორც კი იგი სამასწავლებლოში შემოვიდა.

— სამწუხაროა, რომ გაკვეთილები უკვე დამთავრდა, თორემ გაჩვენებდით გურამ ა-ძეს. საოცრად ზრდილობიანი ბიჭია. არასოდეს ავიწყდება არც ბოდიშის მოხდა, არც მადლობის თქმა. როდესაც კლასიდან რვეულები მიმაქვს, არ შეიძლება ვინმემ დაასწროს, მოვა და მეტყვის: — „ნება მიბოძეთ, პატივცემულო მასწავლებელო, მოგეშველოთ". მოვისურვეთ ამ ბავშვის ნახვა.

— აქვე ცხოვრობს, სკოლასთან. თუ არ გეჩქარებათ, შეგიძლიათ სახლში მიხვიდეთ, — გვითხრა მასწავლებელმა და ფანჯრიდან გაგვახედა, — ხედავთ? აი, ის სახლი, მარჯვნივ, ორსართულიანი. იქ ცხოვრობს.

მე და ფოტოკორესპონდენტი პატარა ჭიშკარს მივადექით. ეზოში ორი ბავშვი საუბრობდა. ერთი მათგანი, თეთრმაისურიანი, ბურთს ბერავდა; მეორე, წიგნით ხელში, იქვე იდგა.

— რატომ ტრაბახობ მუდამ! — მშვიდად, კეთილი ღიმილით ეუბნებოდა წიგნიანი.

—შენს ჩერჩეტ თავში არაფერი შედის. მოგდებ ერთს კეფაში და მაშინ ნახე! — თვალები დააბრიალა თეთრმაისურიანმა.

ამ დროს აივნიდან ქალი გადმოდგა და დაიძახა:

— გურამ, სახლში ამოდი!

—რა გინდა, რა! — წაიჯიჯღინა თეთრმაისურიანმა და თანამოსაუბრეს უთხრა: — მორჩა, ახლა აღარ მომასვენებს.

—ამოდი მეთქი! არ გესმის? — კვლავ მოისმა აივნიდან ქალის ხმა.

— ხომ არ დაბრმავდი? ვერ ხედავ, რომ საქმე მაქვს! — ზევით არც კი აუხედავს ისე დაიძახა ბიჭმა.

მე ეზოში შესვლა მინდოდა.

— არა, ალბად შეგვეშალა, არ შეიძლება ეს ის გურამი იყოს. აგერ, ვკითხოთ ვინმეს, — შემაჩერა თანამგზავრმა.

პირველმავე შემხვედრმა მეორე სართულის აივანზე მიგვითითა.

ცივად გამოვბრუნდით სკოლისაკენ.

მასწავლებელი იქვე დაგვხვდა.

— ვერ იპოვეთ, ხომ? რატომ მაშინვე არ ვიფიქრე, აქ დამეძახა, ახლავე ბავშვს გავგზავნი.

რამდენიმე წუთში კარი გაიღო და ნელა გაისმა:

—მაპატიეთ. შეიძლება?

—ის არის, გურამი. შემოდი, შემოდი, — ვერ დამალა სიხარული მასწავლებელმა.

—გამარჯობათ! — თქვა შემოსულმა, — მაპატიეთ, მგონი ხელი შეგიშალეთ, მითხრეს, მასწავლებელი გიბარებსო.

ფოტოკორესპონდენტმა გაოცებით გადმომხედა. მეც მხრები ავიჩეჩე. ჩვენს წინ ის თეთრმაისურიანი ბიჭი იდგა, წეღან ამხანაგს და დედას უზრდელად რომ ელაპარაკებოდა ეზოში. თავისთავად, ჯადოსნური ჯოხის შეუხებლად, სულ რამდენიმე წუთში, უხეში ბავშვი ზრდილობიან პიონერად გადაქცეულიყო. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი.

ფოტოკორესპონდენტის ხმამ გამომარკვია.

— ბიჭიკო, შენ წეღან ეზოში ბურთს არ ბერავდი?

— კი, ვბერავდი. თქვენ საიდან იცით?

— დაგინახე.

აქ მასწავლებელი ჩაერია:

— თქვენ, ალბათ, გაზეთისათვის გადაიღებთ გურამს, ხომ?

— თუ ეს აუცილებელია, მე შემიძლია ისევ გავბერო ბურთი, ან ტანსაცმელს გამოვიცვლი თუ გნებავთ, — თვალებგაბრწყინებული ამბობდა გურამი და თან უზარმაზარ ობიექტივიან აპარატს მიჩერებოდა.

მაგრამ ჩვენ მორიდებით ვთქვით უარი და გურამის მოცინარე სახე აღარ აღვბეჭდავს ფოტოფირზე. მაგრამ ხელცარიელი მაინც არ წამოვსულვართ: ორიოდე სიტყვით გიამბეთ ბიჭზე, რომლის პიროვნებაში ასე მშვიდობიანად არის შერწყმული უზრდელობა და ხელოვნური ზრდილობა.

იქნებ თქვენც იცნობდეთ ასეთ გურამს.

ჯ. ლომკაშელი

ნახ. ედ. ამბოკაძისა





— თქვენ უთუოდ ვერ შესძლებთ ხვალ ჯარის წინამძღოლობას, მეფე ბატონო, შეუძლოთა ხართ, — გაუბედა დედოფალმა, — ბერდი თუშეთს არის წასული, დავითი რაღაც გულამღვრეული დადის, მაინც ვინ უნდა გავუმძღვაროთ?

თეიმურაზი უხიამოდ შეიშმუშნა და მცირე დუმილის შემდეგ თქვა:

— მაგ მხარეს მოთარეშე მტრის წინააღმდეგ ისევ ჯანდიერის იმედი მაქვს...

დედოფალი ახლა ვაჟიშვილის საწოლ ოთახში შევიდა ფეხაკრეფით. ხარბად მიაჩერდა სახეზე, სანთლის მკრთალ შუქზე ყრმის საულვაშეებზე ქერა ბუსუსები უფრო მოხშირებული ეჩვენა. ტახტის გვერდზე ჩაჩქანი, რკინის პერანგი და სამკლავეები შენიშნა. ერეკლეს მარჯვენა მკლავზე რკინის სამაჯური უპოვა, მის ნაპირებს კანი ჩაელურჯებინა. ცივი რკინა ფრთხილად შეხსნა დედამ და იქვე, რკინის პერანგზე დადო.

ერეკლე გვერდზე გადაბრუნდა და ძილში ჩაილაპარაკა:
დათო! მაწანწრელი ზურას რაზმი...

მან წინა დღეს ამხანაგებთან ერთად ხვალისთვის ბრძოლის გეგმა შეიმუშავა, რომლის თანახმადაც, მტერთან შეტევა უნდა დაეწყოთ მზის ამოსვლამდე. პირობა ისე ჰქონდათ შეკრული, რომ რუისპირელი და ვარდისუბნელი ბიჭები თურდოს ხეობას შემოჰყვებოდნენ გომბორის მთისკენ, კურდღელაურელები -- ჩალაუბნისას, ნადიკვრელი დათოს, მაწანწრელი ზურას და ბატონისწყაროელების რაზმები სასახლის წინ მოედანზე უნდა შეკრებილიყვნენ, მათ ბატონიშვილი გაუძღვებოდა თელავის ხიდიდან მდინარე გომბორულას ხეობაზე და რამდენიმე მანძილის შემდეგ შეხვდებოდა სხვა რაზმებს...

ეს იყო იმის მიზეზი, რომ პატარა ერეკლეს გამზადებული საჭურველი საწოლის გვერდზე ელაგა და ძილშიც კი რაზმებს ახსენებდა.

# პატარა კახი

**როსტომ ელანიძე**

მოთხრობა

**ნახ. რ. ცუცქირიძისა**

შუაღამისას აჟღრიალდა თელავის სამეფო სასახლის გალავნის კარი...

— მაცნე ვარ კახეთის გაღმა მხრიდან, ხალხმა გამომგზავნა, ფრიად საჩქაროდ საუწყებელი მაქვს მეფესთან.

მეკარე ჩირაღდნით გამოეგება მოსულს, თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და სასახლისაკენ გაუძღვა.

სამი დღე იყო, რაც თეიმურაზ მეფე შეუძლოდ გრძნობდა თავს, ამის გამო ამბის მთხრობელს მწოლიარე შეხვდა.

— ამბობენ, მეფე ბატონო, — დაიწყო შეწუხებული კილოთი მაცნემ, — მთებიდან შავი ღრუბელივით გადმოწვა მტრის ჯარი, ჭარ-ბელაქნელებს შეუერთდა და გუშინ ალაზნის მარცხენა მხარეს, კახეთის საზღვრებში ღამის ბინდთან ერთად შემოიჭრაო.

მტრის გამოჩენა მთებიდან, მწყემსებმა შეგვატყობინეს. სოფლიდან სოფელში შიკრიკებია გაგზავნილი; მე ყვარლიდან გეახელით, ხალხი ფეხზეა დამდგარი, თქვენი ხმლის ელვას-ღა ელიან, მეფე ბატონო!

შიკრიკის გასვლისთანავე ქეთევან დედოფალი შევიდა მეფესთან. მეფემ ხელახლა სცადა წამოდგომა, სამოსს ხელი გადააწოდა, მაგრამ თავბრუ დაესხა და ისევ სარეცელზე დაეშვა.

ქეთევანმა ხელი შეაშველა მეუღლეს და ისიც იქვე, მის გვერდით ჩამოჯდა.

გათენებისას გამოეღვიძა ერეკლეს. მამის საწოლიდან შუქი გამოკრთოდა, ნელი საუბარი ისმოდა — მტერს, კახეთის გაღმა მხარეს ახსენებდნენ, თანაც გარედან, უჩვეულო ხმაური ისმოდა; მიხვდა, რაღაც ავი იყო მოსალოდნელი, სასახლე ბრძოლის თადარიგს იჭერდა.

„მამა რომ ავად არის, ვინ გაუძღვება ჯარს" — გაუელვა ერეკლეს, — რა იქნება, ხვალ ომობანას ნაგიერ ნამდვილ ბრძოლაში წავიდე, — დააყოლა ესეც და თან ამხანაგების რაზმები წარმოუდგა თვალწინ.

მცირე ხნის შემდეგ ქეთევანი მეუღლესთან შევიდა და გაოცებული დარჩა: ჯაჭვის პერანგიანი და თავჩაჩქნიანი ერეკლე, მამის საწოლის ფერხთით მუხლმოყრილი, მეფეს ბრძოლაში წასვლის ნებას სთხოვდა.

დედამ ფეხზე წამოაყენა შეჯავშნული ბალღი. ორივე ხელით მკერდში ჩაიკრა და თან თეიმურაზს მიმართა მუდარით:

— არა, მეფე ბატონო! ნუ დართავთ ნებას, ჯერ ისევ პა-

არაა; შეხედეთ, ჯაჭვის პერანგში არცა ჩანს, ბზრიალა არ გაუგდია ხელიდან, ისევ ბიჟინას ეთამაშება.

— მტერთან ბრძოლა მერეც გეყოფა, შვილო, — ახლა ერეკლეს მიმართა დედამ, — შენ არ იცი მტრის სიავე, იმათ გამოცდილი თვალი და მკლავი უნდა შეებრძოლოს, შენ კი ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისა ხარ, ხალხს შენი იმედი აქვს, შენს გაზრდას მოუთმენლად ელის...

— ჰოდა, იმიტომ მინდა წასვლა, დედი, მომბეზრდა ტყუილი ომობანა, მშვილდისარი, ხის ხმალი...

ამ დროს გარედან შემოჭრილმა ხმამ კიდევ უფრო ააფორიაქა ბავშვის გული. თელავის ჩრდილო და აღმოსავლეთის ორივე კარს მოაწყდა ლაშქრული სიმღერა:

„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო...“

ცხენოსანი რაზმების გუგუნმა გამოაღვიძა ქალაქი. ისინი მოსვლისთანავე სასახლის გალავნის გარშემო მწყობრად განლაგდნენ.

მალე, სასახლის კარიდან ქართველთა საბრძოლო დროშა გამოფრიალდა, მედროშეს მოჰყვა ჯარის წინამძღოლი, შემდეგ კარებში გამოჩნდა ვეება თვირთვილა რაში, ლაგამსა ჰკვნეტავდა ლაშქაფიანი და თან ჭიხვინებდა.

პატარა ერეკლე შეიცნეს იმ რაზმის მხედრად, მას მტკიცედ ეჭირა სადავეები, ქორებულ იხედებოდა, სიდინჯე ამშვენებდა პატარა მეომარს.

მის გამოჩენაზე ხალხში მითქმა-მოთქმა დაიწყო:

– ერეკლე ბატონიშვილი!

— ასე პატარას ბრძოლაში გზავნიან?!

როცა რაზმები დაეწყო და წასვლის საყვირი უნდა მიეცათ, ამ დროს გამოჩნდნენ ერეკლეს საკუთარი რაზმები, მშვილდისრითა და ხის ხმლებით შეიარაღებულნი. ნადიკვრის მხრიდან, მაწანწრის მხრიდან და ბატონის წყაროს მხრიდან ერთდროულად მოვიდნენ დანიშნულ ადგილას. ყველა რაზმს საკუთარი დროშა მოუძღოდა წინ.

ერეკლე მათ დანახვაზე სახტად დარჩა, სახე გაუმკრთალდა. უნდოდა თავისი თვირთვილა ცხენით წინ მიგებებოდა, მაგრამ სარდლობისა მოერიდა, თანაც ჯარი უკვე დაიძრა და აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი, ისევ აგუგუნდა ლაშქრული:

„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო...“

დიდი და პატარა გამარჯვების ნატვრით მიაცილებდა ლაშქარს. ბევრი შიშობდა პატარა ერეკლეზე, დედა გულდათუთქული შებრუნდა სასახლეში. თეიმურაზი არ იმჩნევდა, მაგრამ მაინც ნირშეცვლილი შეხვდა მეუღლეს, შვილის შესახებ აღარაფერი უთქვამთ. სასახლეშიც რაღაც უჩვეულო დუმილი ჩამოვარდა, ჯარი განა სხვა დროს არ წასულა საბრძოლველად, მაგრამ ასე არასოდეს არ მომხდარა.

ის დილაც რაღაც უსიხარულოდ გამოიყურებოდა. ალაზნის ველზე შავლეგა ნისლი იყო გაწოლილი, კავკასიონის მთებიც ჯანღმოხვეულები დაჰყურებდნენ კახეთს.

ლაშქარი გასცდა თუ არა თელავს, ერეკლემ სარდლობის სჯა-ბაასს მიაპყრო ყური, მიჰყვებოდა გვერდში ჩუმად და ისმენდა მათ მიერ შედგენილ გეგმას.

ველისციხესთან მთელი ჯარი ორად გაიყო. ერთი დანაყოფი ალაზნის მარცხნივ გადავიდა, მეორე — მარჯვნივ გაჰყვა თავქვე.

ერეკლემ მარცხენა ფრთა აირჩია.

ორივე დანაყოფმა სწრაფმარბენალები დაგზავნა წინ, ისინი რაიმე ახალი ვითარების შემჩნევისთანავე ბრუნდებოდნენ უკან და აცნობებდნენ სარდლობას.

მთელი ჯარი ასე შეთანხმებით მიჰყვებოდა ალაზნის ორივე მხარეს. მათ ყვარლის ბოლოზე შეუერთდა საბუის, გრემისა და შილდა-ენისლის მხრიდან გამოსული სხვა რაზმები, რამაც კიდევ გაამხნევა სარდლობა და ჯარი.

გავაზს დაუახლოვდნენ თუ არა, რომელიღაც სოფლის თავზე ავარდა შავი კვამლის ხვეულები. მას აქეთ-იქიდან შეუერთდა სხვა ხვეულები და ცა შავად გაიბარდნა.

იმ წამშივე ორი მარბენალი უკუიქცა, მათ სარდლობას კვამლზე მიუთითეს, მტრის განლაგების ნიშნები მიწაზე მოხაზეს, ადგილები დაუსახელეს და ისევ სწრაფად გაუჩინარდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მარჯვენა მხრის მარბენალი კვლავ მოიჭრა მარცხენა ფრთიდან; სარდლობა იტყობინებოდა:



„მტრის ბუნაგი ნეიშნის ველზეა გაშლილი, მათი ბელადი სუმურატი ოქროსფერ კარავში ნებივრობს, საჭიროა ერთიანი ძალით შეტევა“.

ერეკლეს სუმურატ ბელადის სახელის გაგონებაზე გულზე ეკალი დააყარა, შუღლი უფრო აუდუღდა, ღონივრად ჩაბღუჯა ხმლის ვადა. ომობანას თამაშის დროს მიზნისთვის არასოდეს აუცდენია, ბეჭედში აძვრენდა ნასროლ ისარს, ანთებულ სანთელს აწყვეტინებდა, „იერიშების“ დროს გომბორის კალთებზე რამდენი მუხისა და წიფლის შიმელა გადაუკაფავს?! ნუთუ ახლა, ნამდვილ ბრძოლაში, ვერ უნდა ისახელოს თავი?!

კიდევ ავარდა კვამლის ხვეულები სადღაც სოფლებში, ცა ისევ შავად გაიბარდნა.

ალაზნის ველიც ისევ შავ ნისლშია გახვეული, მზის სხივებს ჯერაც არ დაუხედნიათ დედამიწისათვის — ჯანღი უღობავს გზას.

— დალახვროს ეშმაკმა! ეს დილა რაღამ აატირა, ნუთუ ამასაც დედის გული აქვს! — ჩაილაპარაკა ანთებული შანდლის წინ დამხობილმა ქეთევან დედოფალმა და ჩამოსველებულ ღაწვებს მდუღარე ღვარი კვლავ მიემატა — აღარც მაცნე მოვიდა, ვინ იცის, რა ხდება აღმოსავლეთით, რა დაემართა ჩვენს ჯარს. — წამოდგა თუ არა, შვილის მშვილდისარს მიაპყრო თვალები პირველად, საომრად გამზადებულ გოზას ისევ ეტყობოდა ერეკლეს ნათითრები, მის გვერდით ისრებით სავსე კაპარჭი ეკიდა.

ცნობის მიღებისთანავე ჯარის მარცხენა დანაყოფმა ნეიშნის ველისაკენ იბრუნა პირი. მტრის ბუნაგის მისასვლელებთან ქალის ტირილი შემოესმათ მეომრებს. ერეკლემ პირველად



ახლა შეიგრძნო ეს შემზარავი ხმა და კიდევ უფრო მწარედ ჩაფიქრდა...

კივილს მალე ავი სანახაობაც მოჰყვა — მეკობრეებს ერთიმეორეზე გადაბმული ტყვეები მიჰყავდათ ცემა-ტყეპით თავის კარვებისაკენ.

სამეფო ჯარის დანაყოფები მტერთან მიახლოვებისთანავე კვლავ შეერთდნენ. საბრძოლო გეგმა ახალ ვითარებასთან და ადგილთან შეფარდებით შეავსეს, ნეიშნის ველს შეუმჩნევლად შემოარტყეს ალყა და ცეცხლის რკალში მოამწყვდიეს მოწინააღმდეგე.

დაიწყო ბრძოლა, მტრის თეთრი კარვები თოფის ბოლში გაეხვია.

მთავარი სარდალი ერეკლეს გვერდიდან არ იშორებდა, აფრთხილებდა, მეომარი ბალღი კი შავი მორევივით დუღდა, ღელავდა, ადგილზე ვერ ისვენებდა, გულზე თითქო მართლაც ეკალი ეყარა, იმ ტყვე ქალების შემზარავი კივილი ისევ ყურში უზრიალებდა, სუმურატ ბელადის ალმასებით მოელვარე კარავს თვალს არ აშორებდა.

როცა სარდლობის ყურადღება ბრძოლის ერთმა უბანმა განსაკუთრებით მიიპყრო, ერეკლემ დრო იხელთა, ცხენს დეზი ჰკრა და ცეცხლის მორევში შევარდა.

ამის გამო შეიქმნა ერთი ვაი და ვიში — დაიღუპება ბავშვიო.

სარდლებმა ძალოვანი მეომრები გაადევნეს მფარველად, მაგრამ სანამ ისინი წამოეწეოდნენ, ერეკლემ ერთი მარჯვე სროლით შუბლი შეუნგრია სუმურატ ბელადს და მთასავით ვეება კაცი ცხენიდან გადმოანარცხა.

ამ სურათის დანახვაზე აირია მტერი, ზვავივით იგრიალა ქართველმა ჯარმა და მტერს პირი აბრუნებინა.

ერეკლე ისე თავდავიწყებით ჩაება მტერთან ბრძოლაში, თითქოს ნამდვილ ომობანას თამაშობდა ტოლებთან. ნატრობდა ნეტავი დათო, ზურა და სანდრიაც აქა მყავდნენ თავისი რაზმებითაო...

ნეიშნის ველი მეომართა გვამებით დაიფარა, გაწითლდა ალაზანი, მტრის ქუდები მდინარის ტალღებზე ქანაობდა.

გამარჯვების შემდეგ ქართველთა ჯარმა პატარა გმირი ხელში აიტაცა და ვაშას ყიჟინით მიიყვანა მტრის დანგრეულ ბუნაგამდე.

ერეკლეს გულს იქ მყოფი ტყვეების სიბრალული სწვავდა. ხელებით ატაცებული ძირს ჩამოსვეს თუ არა, მაშინვე მათთან მიიჭრა და დაუწყო ხუნდებისაგან გათავისუფლება. ტყვეებს შორის ერთი შავი, ბუთხუზა ბიჭი იყო, ერეკლეს ტოლი, გაჭუჭყიანებული, ლაფში ამოსვრილი, გაყვითლებულ ღაწვებზე ისევ ცრემლი ჩამოსდიოდა, ჩამოგლეჯილი ჩოხიდან დალურჯებული სხეული მოუჩანდა.

ბატონიშვილმა პირველად იმ ბიჭს შეაჭრა მკლავებზე თოკი და გაათავისუფლა.

პატარამ აღტაცებით გაშალა ხელები, იქვე მდგომ ტყვე ქალს მუხლებზე მოეხვია.

— დედა, ახლა ისევ თავისუფლები ვართ!

დედა-შვილის ცრემლიანმა ალერსმა მთელი მეომრების ყურადღება მიიჯაჭვა, განსაკუთრებით ერეკლე ვეღარ დაიძრა ადგილიდან, თითქოს საკუთარი დედის ალერსი შეიგრძნო იმ ქალის თვალებში...

ტყვეობიდან გათავისუფლებულმა ქართველმა დედამაც ისარგებლა შემთხვევით, მიუახლოვდა ერეკლეს, შვილის მარჯვენა ხელი ხელში ჩაუდო და უთხრა:

— ეძმე, შვილო, ჩემ ჯაბადარს! დღეიდან მე თქვენი ორივესი დედა ვიქნები! — თან მათი, ერთიმეორეს ჩაბღუჯული მარჯვენა ხელები გულში ჩაიკრა და ჩაჰკოცნა.

— ერეკლემ ერთი მეომარი აქაც შეიძინა, ვინ იცის, რომელ ბრძოლებში ასახელებს! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ქართველი ჯარის გამარჯვება და ერეკლეს გმირობის ამბავი ხალხმა ხალხს გადასცა, სოფელმა — სოფელს და მთელ კახეთს ელვის სისწრაფით მოედო.

მეკობრეების შიშით ტყეებში და ციხე-სიმაგრეებში გახიზნული მოსახლეობა ისევ დაუბრუნდა თავის კერას.

ითქოს ბუნებამაც იგრძნო ხალხის სიხარული. კახეთმა ანდის საბურველი ჩამოიცილა, მზემ ახლა უხვად დააფრქვია დედამიწას შუქი და ალაზანი ჟეება ვერცხლის ზონარივით აელვარა.

გამარჯვებული ლაშქარი უკან გამობრუნდა. მეომრებმა კვლავ სიმღერა დააგუგუნეს.

ერთმა ჯგუფმა შემოსძახა:

„ვისაც მოუკლავს ის მოჰკლავს...“

მეორემ მიაყოლა:

„მოვდივართ მოგვიხარიან...“

მესამემ მიუმატა:

„— ვისაც მოველოდ, მოვიდა...“

სოფლები ზეიმით ხვდებოდნენ ლაშქარს, დიდი და პატარა ფეხზე იდგა, გზებზე ნოხებს უფენდნენ, თავზე ყვავილებს აბნევდნენ, ტკბილი სიტყვებით ულოცავდნენ მარჯვენას მეომრებს, განსაკუთრებით, იმ დღეს დაბადებულ გმირს შეხაროდნენ, ცხადად თუ ქურდულად ხარბად ზვერავდნენ ყველანი.

ბრძოლის ველიდან მობრუნების შემდეგ პირველ სოფელში შესვლისთანავე, ლაშქარს ხალხმა სიხარულით მიაგება:

— დღეგრძელობა და მუდამ გამარჯვება ჩვენს პატარა კახს!

იმ დღიდან შეარქვა ხალხმა ერეკლეს პატარა კახი და ხმლიანი მარჯვენა მადლიერი გულით დაულოცა...



თელავის სამეფო სასახლეში, ფიქრებით დამძიმებული დედა ქეთევანი ისევ შვილის ტალავარს სინჯავდა. ამ დროს სასახლის გალავნის კარები კვლავ მძიმედ შეეღრიალდა.

— „კეთილმა სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია“, — მოისმა გარედან.

პატარა კახის გმირობამ ქალაქიც უჩვეულოდ აალაპარაკა, განსაკუთრებით მისი მეგობრები დათო, ზურა და სანდრია აფორიაქდნენ, თუმცა ნაწყენი იყვნენ ბატონიშვილზე, წინა დღეს რომ პირობა დაარღვია, მაგრამ ახლა წყენა სულ გადაავიწყდათ, მოუთმენლად ელოდნენ ძმადნაფიცის გამოჩენას...

სასახლეს მეორე მაცნე მოადგა — ლაშქრის მოახლოების მაუწყებელი...

დედოფალმა იმასაც თაფლი და შაქარი მიაგება. მოუთმენლად ელოდა შვილის გამოჩენას — გზას თვალებითა სჭამდა დედა ქალბატონი; ამ მძაფრ მოლოდინში, „მხედრული“ ყრუდ მოაწყდა ქალაქის ქონგურებს, თითქოს ნიავს სიმღერა ნაფლეთებად მოჰქონდა; შემდეგ ხმა თანდათან გაძლიერდა, სიმღერა გამთელდა და გარკვევით მოისმა:

„ვუმღეროთ საქართველოსა
ლომგული გმირის გაჩენა“.

თელავის მცხოვრებნი სასახლის აღმოსავლეთ გალავანთან, ბატონის წყაროს სანახებში და ნადიკვრის მაღლობებზე გამოკრეფილიყვნენ, დიდი და პატარა ლაშქარს ეგებებოდა...

ხალხმა პირველად საბრძოლო დროშას მოჰკრა თვალი, — ცაში აწვდილი, ნიავზე ტალღებად იკეცებოდა და ელვარებდა.

მალე ლაშქარიც გამოჩნდა. ბატონის წყაროსთან ერეკლეს თვირთვილა დაწინაურდა. ხალხმა პატარა კახს გზა გადაუღობა, ხელში აიტაცა და ვაშას ძახილით სასახლისკენ წაიყვანა. დათო, ზურა და სანდრიაც ძმადნაფიცისკენ დაიძრნენ. მათ ბავშვების მთელი გუნდი გაედევნა.

სასახლეში ზეიმის შემდეგ, დედა და შვილი მარტონი შევიდნენ მათ სამყოფელ ოთახში. პატარა კახმა თავისი სათამაშო იარაღები — მშვილდი, ისრებით სავსე კაპარჭი და ხის ფარ-ხმალი ჩამოიღო კედლიდან, ხელში რამდენჯერმე შეათამაშა და თქვა:

— დედი! ნახე, რა მსუბუქები არიან, ყველა ესენი ერთად, აი, ამ ხმალს ვერ აიწონიან, ნამდვილ ბრძოლაში რომ მასახელა. არა, ახლა ამათ უთუოდ ველარ ვიგულებ, — დააყოლა ბოლოს, ისინი იქვე გვერდზე დააწყო და მათ ადგილზე ნამდვილი საბრძოლო იარაღი ჩამოჰკიდა.

— შენთვის მაგათი დრო სჯობია, შვილო, — შენი ბიჭინას თვალებივით მშვიდი და უდარდო. სამშობლოს ბევრი მტერი ჰყავს, დღეიდან მშვიდად ველარ დაიძინებ! — უთხრა დედამ ნაღვლიანად.

პატარა კახს უნდოდა ამხანაგების ამბავი გამოეკითხა, მაგრამ დაღლილობამ სძლია და დედის კალთაში ტკბილად ჩაეძინა.

ძმადნაფიცები დილით ადრე მიადგნენ სასახლის კარებს. პატარა კახი მათ დანახვაზე გაოცებული დარჩა: სამივე — თავჩაჩქნიანი, ჯაჭვის პერანგებსა და საბრძოლო იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი. მათ ერთმანეთის ნახვით დიდად გაიხარეს, ბევრი ისაუბრეს და დამშვიდობებისას პატარა კახს სთხოვეს: დღეიდან, სადაც კი ბრძოლაში წახვალ, ჩვენც შენთან ერთად გვიგულეო.



# ლურჯი შუშის ნატეხი

**ნორა ბურკე**

გერმანელი მწერალი

მოთხრობა

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

ინდური მდინარე მთის ტყეებიდან დაცურებული მორებით იყო დაფარული. ზოგიერთი მორი ლოდებს შუა იჭედებოდა და იქვე რჩებოდა, ვიდრე დინება კვლავ არ გაიტაცებდა. თხელ წყალში, მორებს შორის, ნიანგი იწვა. ღრმად ისუნთქავდა სუფთა, მზით გაჟღენთილ ჰაერს, მუქი-ყავისფერი ზურგი და თეთრი მუცელი ჰქონდა. იწვა სრულიად უმოძრაოდ და მოთმინებით. უსასრულოდ დიდხანს ელოდა საკვებს, რომელიც ბოლოსდაბოლოს საიდანმე უნდა გამოჩენილიყო. მას ყბები მოეკუმა და თითქოს ბოროტულად იღიმებოდა.

მას შემდეგ, რაც ნიანგმა ქვეყანა იხილა და არსებობისათვის დაიწყო ბრძოლა, ასი წელი გავიდა. მაშინ, როდესაც იგი ჯერ კიდევ სულ პატარა იყო, შეიძლებოდა რომელიმე დიდი ფრინველის ან თევზის მსხვერპლი გამხდარიყო, მაგრამ ახლა, ესოდენ სქელჯავშნიანს, არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა. დაუცველი მხოლოდ თვალები და თათებსქვეშ რბილი ადგილები რჩებოდა. ეს ადამისდროინდელი ურჩხული თევზებითა და წყლის ფრინველებით იკვებებოდა, თუმცა არც წყურვილის მოსაკლავად მოსულ მაიმუნზე ან ქურციკზე იტყოდა უარს. ზოგჯერ ძაღლის ან გაძვალტყავებული ძროხის ხელში ჩაგდებასაც ახერხებდა.

ნიანგის გვერდით, ყურეში, ლურჯი შუშის ნატეხი ეგდო. შუშა, ეტყობოდა, უკვე დიდი ხანია ეგდო აქ, რადგან საკმარისად იყო გაქექილი ქვიშისა და წყლის მიერ. შუაში ნახვრეტი გასჩენოდა და ბრტყელ მძივს დამსგავსებოდა.

მდინარის ახლოს, პატარა, ხმაურიან სოფელში, თიხით შელესილ ქოხიდან, დაძონძილტანისამოსიანი, გამხდარი, გამოფიტული გოგონა სიბია გამოვიდა. ხელში ეჭირა მწვანე წიწაკის ნაჭერში შეხვეული ხუპატი, რომელსაც მძაღე ქარაქი ჰქონდა ოდნავ წასმული. გოგონამ თავისი „ბუტერბროდი" შუაზე გახსნა, რათა უფრო დიდი მოჩვენებოდა და მხოლოდ შემდეგ ჩაკბიჩა იგი ჯანსაღი, თეთრი კბილებით. სიბიას ყორნის ფრთასავით შავი თმა, დიდრონი მუქი თვალები და კრიალა ყავისფერი კანი ჰქონდა. ეს თორმეტი წლის ბავშვი მძიმე შრომისა და გამუდმებული გაჭირვებისთვის იყო გაჩენილი. მას ძონძების გარდა არაფერი გააჩნდა. ერთი გროშიც კი არ ჰქონდა, რომ შუშის მძივები ან სამაჯური ეყიდა.

ამ დიდებული ნივთების არსებობა სიბიამ მაშინ შეიტყო, როდესაც მშობლებთან და ძმებთან ერთად იყო ბაზრობაზე.

მოჯადოვებულივით იდგა ხოლმე სიბია ფარდულთან, სადაც კამფეტები იყიდებოდა. ამ ტკბილეულს საუცხოო სურნელი ჰქონდა, რომელიც ახშობდა სიბინძურის, ოფლისა და იაფფასიანი სიგარეტების სუნს.

ბაზრობაზე მანუფაქტურული დახლებიც იყო, სადაც ბამბის სრულიად ახალი ქსოვილების დიდი ხვეულები ელაგა. ქსოვილებსაც შესანიშნავი სურნელი ასდიოდათ — სიახლისა და საღებავის. სიბიას შეეძლო მთელი დღე აქ მდგარიყო და ეყნოსა ეს საუცხოო სურნელი.

ქვეყანა საოცრებით იყო სავსე, მაგრამ სიბიას მხოლოდ გაჭირვება და ჯაფა ხვდა წილად. როგორც კი სიარული ისწავლა, შრომაში ჩააბეს. აიძულებდნენ გაენიავებინა მარცვალი, მოეგროვებინა საწვავი, გაეხმო ნაკელი, მოეტანა წყალი, მოეჭრა საქონლისათვის ბალახი.

დღეს იგი დედასთან და კიდევ რამდენიმე ქალთან ერთად, მდინარის ზემოთ ბორცვზე უნდა წასულიყო ბალახის მოსაჭრელად. როდესაც ბალახი საკმაოდ მოგროვდებოდა, მას ოთხთვალაში ჩაყრიდნენ და სადგურზე მიჰქონდათ, სადაც შემსყიდველს აბარებდნენ. ბალახს ქალები ტვირთავდნენ, ხოლო შემსყიდველი აბრეშუმის ბალიშზე იჯდა და აბოლებდა. მაგრამ სიბია სულაც არ ფიქრობდა ამაზე, ნამგლითა და თვითნაკეთი ორთითათი მხარზე, დედის გვერდით დახტოდა.

ზოგიერთ ქალს ჯუნგლებში შეგროვილი მცენარეთა თესლის ღია-წითელი ფერის ყელსაბამი ეკეთა. ყოველ წელს მძივების ახალი აცმა იყო საჭირო, რადგან თესლი დროთა განმავლობაში კარგავდა თავის ლამაზ ფერს. სიბიასაც ექნება ასეთი მძივები. გოგონა წინასწარ ტკბებოდა, წარმოიდგენდა სირბილის დროს როგორ აჩხრიალდებოდნენ მძივები. მათი დამზადება არც ისე ადვილი იყო. ქვასავით მაგარი თესლი გავარვარებული ნემსით უნდა გაეხვრიტათ, მაგრამ რადგან ერთადერთი ნემსი, რომელიც სიბიას სახლში ჰქონდათ, გატყდა, იძულებული იყო მოეცადა, ვიდრე ახალს იყიდდნენ.

ეჰ, რა იქნებოდა, მეც რომ მქონოდა ბევრი ყელსაბამი — ნამდვილი, შუშის მძივების ასობით ასხმა. საყურეებიც, სამაჯურებიც — არაჩვეულებრივი ფერადი სამაჯურები, აი, ისეთი, როგორიც ბაზრობაზე არის ხოლმე! — ჩუმად ამოიოხრა სიბიამ.

გურაების ტომი, რომელსაც სიბია ეკუთვნოდა, ნადირობას ეწეოდა, მესაქონლეობას მისდევდა, მცენარეთა მზამზარეულ ნაყოფს აგროვებდა და ამით ცხოვრობდა. ყოველ მოპოვებულ გროშს საქონლად აქცევდა.



მდინარის ხმაური მოისმა. ქალებმა ჩამუქებულ მორებს შორის მოკამკამე წყალი დაინახეს. აიკრიფეს კაბის კალთები, უფრო მოხერხებულად რომ გადამხტარიყვნენ ქვებზე. ჟივილ-ხივილით მთლად დაფარეს წყლის ხმაური.

ნიანგებს ხმაურის ეშინიათ. ამიტომ, უზარმაზარი ცხოველი არ განძრეულა და ქალები ისე გავიდნენ მდინარეზე, რომ ნიანგის იქ ყოფნა არც შეუმჩნევიათ. შემდეგ ბორცვის დამრეცილ ფერდობს შეეფინენ და მუშაობას შეუდგნენ.

...მალე სახლში დაბრუნების დრო მოვიდა. საქონლისთვის საკვები უნდა მიეცათ და ვახშამი დაემზადებინათ. როდესაც მძიმე ტვირთით წელმოხრილი ქალები მდინარისაკენ დაეშვნენ, სიბია უკან ჩამორჩა: უნდოდა გასაშრობად დაწყობილი ქოთნები ენახა.

ქალები, საშინლად დაღლილნი, ხმამაღალი ლაპარაკით გადავიდნენ მდინარეზე და ხეებს მიეფარნენ.

როდესაც სიბია ნაპირს მიუახლოვდა, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მზე უკვე ჩასულიყო. სიბიამ ფეხი შედგა ქვაზე. მხრებზე აკიდებული ბალახის შეკვრა მძიმედ აწვებოდა. ტკიოდა ყველა კუნთი. შუა მდინარეში ტვირთი ქვაზე დადო და აქოშინებული ორთითას დაეყრდნო.

მეორე ნაპირზე, სურებით ხელში, ქალი გამოჩნდა, ის-ის იყო დაიხარა სურის ასავსებად, რომ ხახადაბჩენილი ურჩხული წყლიდან ისარივით ამოსხლტა და ფეხში სწვდა ქალს. ქალმა შემზარავად დაიკივლა; სურები ხმაურით დაგორდნენ ქვებზე და წყალში ჩაცვივდნენ.

ქალი ცდილობდა განთავისუფლებულიყო, მაგრამ ფეხი დაუცდა, წყალში ჩავარდა და ქვებსშორის გაჩხირულ მორს ხელი ჩაავლო, თან საზარელი ხმით აყვირდა.

არჩევით ქვიდან ქვაზე ხტომით, სიბია ქალისაკენ გაქანდა. საერთოდ, იგი ყოველთვის ფრთხილად გადადიოდა მდინარეს, მაგრამ ახლა, ჩიტივით ფრთებშესხმული ,ერთ წამში გაჩნდა ქალის გვერდით. ნიანგმა სიბია შეამჩნია. ცხოველს კუდის ერთი შემორტყმით შეეძლო მოეკლა იგი... და დაარტყა კიდევაც. სისხლით შეღებილი წყალი ოციოდე ფუტზე აისვეტა. ნიანგმა კვლავ მოიქნია კუდი. დარტყმისაგან ქვებიც კი შეზანზარდნენ. მაგრამ სიბია, შვილი ჯუნგლებისა, სადაც გმირობა ჩვეულებადაა ქცეული, არ შედრკა, ორთითა მოიმარჯვა და მთელი ძალით თვალებში ჩასცხო გამძვინვარებულ ნიანგს.

ნიანგი სიმწრისაგან ისე დაიგრიხა, რომ კუდი და დრუნჩი თითქმის ერთმანეთს შეეხნენ, ერთი შეტორტმანდა და სისხლნარევ ქაფში გაუჩინარდა.

მოკვდება. ახლა არა, მაგრამ მალე. რამდენიმე დღის შემდეგ მისი გვამი ამოტივტივდება ზევით და შეიძლება სადმე მორევსა და ქვებშორის გაიჩხიროს.

სიბიამ ძლივს ამოათრია წყლიდან ნახევრად გრძნობადაკარგული ქალი. დაშავებული ფეხი ჩვრით შეუხვია და სოფელში მიიყვანა, სადაც მამაკაცებმა მაშინვე საკაცეები შეკრეს მკურნალთან წასაყვანად.

სიბია მდინარესთან დაბრუნდა თავისი ფუთის, ნამგლისა და ორთითას წამოსაღებად. მისდა საბედნიეროდ, ორთითა ისევ წყალში ეგდო, დინებას ვერ მოესწრო მისი გატაცება. როდესაც იგი ნივთების ასკრეფად დაიხარა, წყალში ლურჯი შუშის ნატეხი დაინახა.

ნატეხი ხელის გულზე ედო. დაისის შუქზე, ოქროს ბრწყინვალებით ელავდა. სიბიას სიხარულით გული აუკანკალდა. სათუთად შეახვია შუშა წინსაფარში და რაც შეიძლეობდა მაგრად შემოიკრა წელზე, რათა ნაპოვნი არ დაჰკარგოდა. შემდეგ ბალახის შეკვრა მხარზე შეიგდო, აიღო ორთითა და ნამგალი, და შინისაკენ გასწია.

ჰჰ, რა ბედნიერი იყო ამ დღეს სიბია! შიშველი ფეხებით შლიდა ქვიშაზე გველის ნაკვალევს. ხის კენწეროებზე მალარიის კოღოები წუოდნენ. ამ დროს აქ ბებერ სპილოს შეეძლო გამოევლო... მაგრამ სიბიას ახლა არაფრის ეშინოდა.

ცაზე პირველი ვარსკვლავები გამოჩნდნენ, როდესაც ქოხის მახლობლად, გოგონა მის საძებრად გამოსულ დედას შეხვდა.

— მხოლოდ სახლში შევნიშნე, რომ ჩამოგვრჩი! — ჯავრობდა იგი, — მეგონა, რაიმე შეგემთხვა.

— ჰო, შემემთხვა! სასწაული მოხდა! მე ვიპოვე დიდი, ლურჯი მძივი. ნახე!.. — უთხრა აღფრთოვანებულმა სიბიამ.

თარგმნა გურამ ბაღათურიამ



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარინე

ქ. გოგიაშვილი

არ გეგონოთ, მარინე
გოგო იყოს პაწია,
შეხეთ, კაბა რას უგავს,
წინდა როგორ აცვია!
უწესრიგო გოგოა,
გარღვევია სახელო,
აწყვეტია ღილები,
გახევია საყელო.
თუნდაც სახელდახელოდ
ვერ გაკერა საყელო?!
ხელში ჩანთა უჭირავს
გვერდებჩამოფხრეწილი,
ჩაჩაჩვია წინდები,
თმა აქვს ჩამოწეწილი.
თუნდაც სახელდახელოდ
ვერ გაკერა საყელო?!
რა ყოფილა მარინე!
მე კი კარგი მეგონა.
შეარცხვინეთ, დატუქსეთ
უწესრიგო გოგონა!



# „ტყის მეგობარი"



ხელთ აიღო გოგიმ ნერგი,
წამოიღო თოხი, ბარი,
— ნორჩ ხეს დავრგავ, მაშ,
რისთვის ვარ
ტყის ერთგული მეგობარი?!
ამოთხარა დიდი ორმო,
ხე დარგო და მორწყო კიდეც,
გოგი ფიქრობს, ხე იხარებს,
გამოისხამს ვაშლებს დიდებს.
— თხასაც უნდა მოვუარო,
ფოთლებს დავკრეფ სხვაგან
სწრაფად, —
თქვა და თეთრი წვერცანცარა
სხვა ნორჩ ხეზე გამოაბა.
რომ დაბრუნდა, რასა ხედავს,
რას კუნტრუშებს ის თხა ცელქი?
მოუთხრია, შეუკვნიტავს
იმ ბაკუნას ატმის ნერგი!
არ იცოდა, თუ რა ექნა,
ბევრს ფიქრობდა თხის წინ მდგარი...
თქვენც ხომ არ გყავთ, მეგობრებო,
ტყის ასეთი მეგობარი?

რა ქნას ბიჭმა ზურიკომ, —
უყვარს მისი სახელი,
გააკვირვა სუყველა
წარწერების მნახველი,
სკოლის კედლებს არ ზოგავს,
ცარცით აწერს სახელებს,
ცუდი ქცევით აბრაზებს
მშობლებსა და აღმზრდელებს.
ჯაყვას მერხზე ზურიკო
ისე მაგრად აჭერდა,
მერხი, ახალთახალი,
ზებრასავით აჭრელდა.
რა ქნას ბიჭმა ზურიკომ, —
უყვარს მისი სახელი,
ხომ არა ხართ სკოლაში
ასეთების მნახველი?

ნახ. თ. ხამხონაძისა



კარგია კვირა დღე. კარგია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკოლაში კარგად გაქვს საქმე, უკან არ გვქარებიან «კუდიანი» ორიანები და ორშაბათის გაკვეთილები უკვე შაბათს გაქვს მომზადებული. კვირა დღე. ამ დღეს შეიძლება ითამაშო ტოლ-მეგობრებთან. ბურთი, ველოსიპედი, მაგიდის ჩოგბურთი — ყველაფერი შენ ხელთაა. ამასთან მთელი ეზოს ბავშვებიც შინ არიან, ყველა ერთად იყრის თავს, ასეთი შესაძლებლობა ყოველთვის როდია. ამ დღეს შეგიძლია საყვარელ წიგნსაც ჩაუჯდე, ხელი მოჰკიდო შენს საყვარელ საქმეს. დურგლობა იქნება ეს, ბაღში მუშაობა, ხატვა, თუ რაიმე სხვა საქმე. ერთი სიტყვით, მთელი დღეა შენს ხელში.

ჩვეულებრივ კვირა დღეს, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა დ. იაკობაშვილმა და შ. გოქაძემ ბავშვებით სავსე ორ ეზოში შეიარეს და ეს ფოტოსურათები გადაიღეს.

# კვირა დღე ეზოში







[illegible]

[illegible]

[illegible]



[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]





ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თითისტოლებს ჯერ თავიანთი მტრედები არა ჰყავთ, ეხეც რომ არ იყოს, ვინ დართავს მათ სახურავზე ახვლის ნებას, იქ ხიარულს. ბავშვები ეზოდან შეჰხარიან ცაში მონავარდე ფრინველების ფარფატს.

აქ ხაშუალება არ არის „ორი გოლი" ითამაშო, ვიწროობა და შეიძლება სარეცხიც დასვარო. მაგრამ კარში დარტყმაც არ არის ურიგო საქმე და იაკობ გვალია, ჯემალ ზენაიშვილი და მერაბ ბუაძე ჯერ-ჯერობით ამას ჯერდებიან. მალე კი მათ გვერდით ეზოში მოედანი იქნება და მერე, მერე!.. ხაღამოობით კი მიაკითხავენ თავიანთ პატარა, საყვარელ ეზოს.








## ერთგული ლიზა

საყოველთაოდ ცნობილია ძაღლის ერთგულება ადამიანისადმი. ამიტომაც ვამბობთ ძაღლი ერთგულებით კატას სჯობიაო. მაგრამ არის შემთხვევები, როცა კატა პატრონისადმი ერთგულებისა და სიყვარულის საოცარ თვისებებს იჩენს.

ერთმა ოსლოელმა (ნორვეგია) დიასახლისმა ჩრდილოეთ ფიორდაში ნათესავების მონახულება გადაწყვიტა. გამგზავრებისას თან წაიყვანა საყვარელი კატა — ლიზა.

როდესაც ოსლოელი დიასახლისი უკან გამობრუნდა, ლიზა ნათესავების ოჯახში დატოვა.

ლიზამ ძალზე მოიწყინა. გადაწყვიტა, ოსლოში თავის პირვანდელ პატრონთან წასულიყო, გზას გაუდგა.

რამდენიმე თვის შემდეგ ერთგულმა ლიზამ, ჩრდილოეთ ფიორდიდან ოსლომდე ფეხით გაიარა ექვსას კილომეტრამდე მანძილი და გაძვალტყავებული, დასვრილი, მშიერი მიადგა თავის პირვანდელი საცხოვრებლის კარს. ასე რომ, კატასაც სცოდნია ძაღლზე არა ნაკლები სიყვარული და ერთგულება.

## ხე, რომლის ქვეშ სოფელი მოთავსდება

კუნძულ ცეილონზე ნატურალისტ-მოგზაურს აღწერილი აქვს ფიკუსთა ანუ თუთისებურ მცენარეთა ოჯახის ერთი სახეობის — ბანიანის ხე, რომლის ტოტებქვეშ დასახლდება თითქმის ერთი სოფელი.

ბანიანის ამ ეგზემპლარის გვირგვინი დედამიწის ზედაპირს გადაფენია 130—150 მეტრზე. მისი ტოტები მიწაშია ჩასობილი და დაფესვიანებული. ეს დაფესვიანებული ტოტები ხის მთავარ ღეროს ეხმარება ამ უზარმაზარ ტყე-ხის მიწაზე დამაგრებაში და ამავე დროს ხელს უწყობს საკვების მიწოდებაშიც.

ა. ნემსაძე

# სახალხო გმირი
# კაცია გმირიძე

ვინ იცის, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან, ქარიშხლიან ისტორიაში რამდენმა სახალხო გმირმა ისახელა თავი სამშობლო ქვეყნის, ხალხის სიცოცხლის, პატიოსნების დაცვისათვის ბრძოლებში. მათი სახელები მატიანეებსა და სხვა ისტორიულ წყაროებში არ მოხვედრილა.

მაგრამ ხალხი არ ივიწყებდა თავის სასახელო გმირებს და მათი სახელები ლექსებში, სიმღერებსა თუ თქმულება-ლეგენდებში გადაჰქონდა და ასე შემოუნახა შთამომავლობას.

ასეთ სახალხო გმირთა შორის უნდა მოვიხსენიოთ დღემდე უცნობი ქართველი სახალხო გმირი კაცია გმირიძე, რომელიც XVIII საუკუნეში ცხოვრობდა.

კაცია გმირიძე ქართლის სოფელ საქაშეთის მკვიდრი ყოფილა. მის მშობლიურ სოფელს მტრის ბრბო, ორი ათასამდე კაცი დასცემია თავს. მტაცებელთა რაზმებს ბევრი სოფელი აუოხრებიათ და საქაშეთიდან მრავალი ტყვე კაცი და ქალი წაუყვანიათ; მათ შორის, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი კაცია გმირიძეც მოხვედრილა.

მტრის ერთ ნაწილს მდინარე მტკვარზე გადასვლა მოუსწრია და ახალციხემდე მიუღწევია, თან ტყვეებიც გაურეკია, მაგრამ მტრის რაზმებს სურამიდან სალაშქროდ წამოსული ქართველთა და რუსთა მხედრობა წამოსწევია და გაუნადგურებია.

ამ ბრბოთა თარეშისა და მათი სასტიკი განადგურების ამბავს თავისი გამოხატულება «ქართლის ცხოვრების» მატიანეში უპოვია.

მართალია, კაცია გმირიძის სახელი მატიანეში არ არის მოხსენებული, მაგრამ მისი გმირობის ამბავი ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა.

არსებობს ერთი ხალხური ლექსი, ქართლში ჩაწერილი სოსიკო მერკვილაძის მიერ. ეს ლექსი აკაკი წერეთელმა გამოაქვეყნა თავის «კრებულში» 1898 წელს.

ამ ლექსიდან ირკვევა, რომ მოძალადეების მეთაურებს, როდესაც საქაშნელი ტყვეებით ახალციხის იქით გასულან, დასძინებიათ, ამით უსარგებლია კაცია გმირიძეს, გაუგლეჯია რკინის ხუნდები, მასვე დაუწყვეტია სხვა ტყვეთა ბორკილებიც და მტრისავე იარაღით მოძალადე-მოთარეშენი ერთიანად ამოუწყვეტია, ტყვეობიდან თავდახსნილი ხალხი კაცია გმირიძეს მშობლიურ სოფელ საქაშეთში მოუყვანია.

მემატიანე აღნიშნავს, რომ საქაშნელ ტყვეთაგან ერთ ქალს გმირობა გამოუჩენია, თავისი შემპყრობი თვი-



თონვე დაუტყვევებია და ქართველებთან მიუყვანია. სამწუხაროდ, ამ გმირი ქართველი ქალის სახელი დღემდე უცნობია.

კაცია გმირიძის სახელი კი ხალხმა ამ ლექსით უკვდავყო:

„საქაშეთი რომ აილეს,
იყო ორშაბათ დილაო,
ქალები ბევრი წაასხეს,
მარიამი და თინაო.
ახალციხეს რომ გავიდნენ,
მტრის სარდლებს ჩაეძინაო,
ტყვესა კაცია გმირიძეს
ულვაშში ჩაეცინაო;
მიგლიჯ-მოგლიჯა ჯაჭვები,
ყველა ტყვეს მოელხინაო.
მისცვივდა მტრების იარაღს,
ერიში მიიტანაო,
თითო მოქნევით სამ-სამსა
კუწავდა, როგორც ჩალაო,
რაც უწინ იმათ დღე ადგათ
ის მათ მტერს დაუყენაო“.

შეიძლება ეს ლექსი ნაწყვეტიც იყოს კაცია გმირიძის შესახებ ხალხში არსებული ბალადისა.

ვ. სიდამონიძე

ნახ. **დ. ხახუტაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საიდან წარმოდგა თვეების სახელები

მრავალგვარი საჭიროების გამო ხალხი დროს გარკვეულ მონაკვეთებად ყოფს. ყველაზე ადვილად შესამჩნევი და, ცხადია, უძველესი დროის საზომი ერთეული არის დღეღამე, — დრო, რომელიც სჭირდება დედამიწას ერთხელ შემობრუნებას თავისი ღერძის ირგვლივ.

შორეულ წარსულშივე საჭირო გამხდარა დროის დაყოფა უფრო მცირე და ზუსტ ნაწილებად. ჯერ კიდევ 2700 წლის წინათ ბაბილონელებს შემოუღიათ დღეღამის დაყოფა 24 საათად. აქედან იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

უწინ ახალი დღის დასაწყისად დილა ითვლებოდა და მზის ამოსვლისას იქნებოდა პირველი ჟამი ანუ პირველი საათი (საათს ძველად ქართულ ენაზე **ჟამი** ერქვა). მაგრამ მზე ყოველთვის ერთსა და იმავე დროს არ ამოდის, ამიტომ შემდეგში დაწესდა, რომ ერთი დღე თავდება და მეორე იწყება ნაშუაღამევის თორმეტი საათიდან. ახალ წელსაც სწორედ ამიტომ ვეგებებით შუაღამისას — 12 საათზე.

მსგავსად დღეღამისა, თვე და წელიწადიც ასტრონომიულ დაკვირვებათა საფუძველზე არის დაყოფილი. თვის ანგარიშს საფუძვლად მთვარის მოძრაობა უდევს. ამიტომ არის, რომ მთელ რიგ ენებში თვე და მთვარე ერთი სიტყვით გამოითქმის. მაგალითად, რუსულად ორივეს ჰქვია „მესიაც"; გერმანულად „მონდ" მთვარეს ნიშნავს, „მონატ" კი თვეს; სიტყვები **თვე** და **მთვარე** ქართულშიაც ჰგვანან ერთმანეთს, ხოლო მეგრულად ორივეს „თუთა" ეწოდება.

ძველად თურმე წელიწადსაც მთვარის მიმოქცევის მიხედვით ანგარიშობდნენ, მაგრამ ასეთი ანგარიში წლის ნამდვილ სიდიდეს არ ემთხვეოდა და საჭირო ხდებოდა კალენდრის გასწორება. ეს ხშირად გაუგებრობასა და არევდარევას იწვევდა. ამიტომ ძველ ეგვიპტელებს დაუწყიათ წლის ანგარიში მზის მიხედვით. ეგვიპტური კალენდარი ამ 2500-2000 წლის წინათ გავრცელებულა წინააზიაში, ირანში, სომხეთსა და საქართველოში. ძველი წელთაღრიცხვის 30 წელს, როცა იულიუს კეისარმა ქალაქი ალექსანდრია აიღო, მან ახალი კალენდარი რომის იმპერიაშიც დააკანონა, აქედან კი იგი მთელ ევროპაში გავრცელდა. ამ კალენდართან ერთად დამკვიდრდა თვეების რომაული სახელწოდებანიც.

გინდათ იცოდეთ, საიდან წარმოდგა ამა თუ იმ თვის სახელი?

**იანვარი** (ლათინურად „იანუარიუს") დარქმეულია მზის ბრუნვის, წყლისა და დროის ღმერთის **იანუსის** პატივსაცემად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**თებერვალი** (ლათინურად „ფებრუარიუს") ნიშნავს განწმენდას. თავდაპირველად „დიეს ფებრუარიუს" ანუ დღე განწმენდისა ერქვა ამ თვის მეთხუთმეტე დღეს, როცა რომაელები მსხვერპლს სწირავდნენ ტყისა და ველ-მინდვრის ღმერთს, მწყემსთა მფარველ ლუპერკს. შემდგომში ამ დღის სახელწოდება მთელმა თვემ მიიღო.

**მარტი** (ლათინურად „მარსიუს") ნაწარმოებია ომის ღმერთის მ ა რ ს ი ს სახელისაგან.

**აპრილი** მიღებულია ლათინურ „აპერირე"-საგან, რაც სიკეთის გამოვლინებას ნიშნავს და გულისხმობს იმ სიკეთეს, რაც აპრილში ბუნების გამოღვიძებას მოსდევს.

**მაისი** (ლათინურად „მაიუს") დაერქვა ამ თვეს ბუნების ღმერთის მ ა ი ა ს სახელის მიხედვით.

**ივნისი** დარქმეულია ქორწინებისა და მშობიარობის მფარველი ღმერთის ი უ ნ ო ნ ა ს პატივისცემის ნიშნად.



**ივლისი** ეწოდება იმ თვეს, რომელიც რომის იმპერატორ ი უ ლ ი უ ს ი ს დაბადების თვეა. ეს სახელი დაერქვა ივლისს დაახლოებით 2000 წლის წინათ (ძვ. წელთაღრიცხვით 44 წელს), მანამდე კი მას ერქვა „კვინტილის" ანუ მეხუთე. ახლა ივლისი



...შვიდე თვეა, მაგრამ ძველი რომაული კალენდრის მიხედვით ახალი წელი მარტიდან იწყებოდა და ივლისი ...წორედ მეხუთე თვეს წარმოადგენდა.

**აგვისტო** მეექვსე თვე იყო და მას პირველად რიგითი ნომერი ჰქონია, მაგრამ შემდეგ იმპერატორმა ოქტავიანე ა ვ გ უ ს ტ მ ა თავის სახელი დაარქვა.

დანარჩენ თვეებს შერჩათ რიგითი სახელწოდებანი:

**სექტემბერი** (ლათინურად ს ე პ ტ ე მ ბ ე რ) ნიშნავს მეშვიდეს.

**ოქტომბერი** ნიშნავს მერვეს.

**ნოემბერი** ნიშნავს მეცხრეს.

**დეკემბერი** (ლათინურად დ ე ც ე მ ბ ე რ) აღნიშნავს მეათეს (ძველი რომაული კალენდრით წელიწადი ათი თვისაგან შედგებოდა).

თვეების ეს სახელწოდებანი ქართულში VII საუკუნიდან გვხვდება. მაგრამ მათ გვერდით კარგა ხანს იხმარებოდა აგრეთვე სხვა, უფრო ძველი სახელებიც: იანვარს ერქვა ა პ ა ...ნ ანუ ა პ ნ ი ს ი, თებერვალს — ... უ რ წ ყ ნ ი ს ი, მარტს — მ ი ჰ რ ა-



კ ა ნ ი; მომდევნო თვეების სახელებია: ი გ რ ი კ ა, ვ ა რ დ ო ბ ი ს ა, მ ა რ ი ა ლ ი, თ ი ბ ი ს ა, ქ ვ ე ლ თ ო ბ ი ს ა, ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა, ს თ ვ ლ ი ს ა, ტ ი რ ი ს კ ა ნ ი და ტ ი რ ი ს დ ი ნ ი.

ეს სახელები ზოგი წმინდა ქართულია და ზოგი კი ირანულ-სომხური წარმოშობისაა. თუ დაუკვირდებით, ადვილად შენიშნავთ, რომ ქართული წარმოშობისა არის, მაგალითად, მაისის ძველი სახელი ვ ა რ დ ო ბ ი ს ა ანუ ვ ა რ დ ო ბ ი ს თ ვ ე, ივლისის სახელი — თ ი ბ ი ს ა ანუ თ ი ბ ა თ ვ ე. ქართულია აგრეთვე აგვისტოს ძველი სახელწოდება ქ ვ ე ლ თ ო ბ ი ს ა ე. ი. ქვენეთობისა, რაც ქვესკნელს მყოფთა ანუ მიცვალებულთა მოსახსენებლად ყოფილა შერქმეული. ასევე ქართული სახელები რქმევია წინათ სექტემბერს (ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა) და ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს (სთვლისა, ე. ი. რთველის თვე. უფრო გვიან მას წ ი ფ ო ბ ი ს თ ვ ე ს და ღ ვ ი ნ ო ბ ი თ ვ ე ს ა ც ეძახდნენ). უეჭველია, წინათ სხვა თვეებსაც ერქმეოდა ქართული სახელები, მაგრამ ისინი ჩვენამდე არ შემონახულა.



თქვენ იქნებ გაგიკვირდეთ, რატომ ერქვა ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა სექტემბერს და არა იანვარს. მაგრამ გაიხსენეთ, რომ იანვარი ყოველთვის როდი ითვლებოდა ახალი წლის დასაწყისად. როგორც ზემოთ ვთქვით, ძველად რომაელები წელიწადს მარტიდან იწყებდნენ, შემდეგ კი წესი შეცვალეს და ახალი წელი იანვარში გადაიტანეს, რადგან რომაელი კონსულები თავიანთი მოვალეობის შესრულებას პირველი იანვრიდან იწყებდნენ. ერთ დროს ახალი წლის დასაწყისად სექტემბერიც ითვლებოდა. აი, ამიტომ უწოდებდნენ ამ თვეს ქართველები ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა ს. უფრო გვიან მას ეძახოდნენ კიდევ ე ნ კ ე ნ ი ს თ ვ ე ს, რაც განახლების თვეს ნიშნავს (ბერძნულად ე ნ კ ე ნ ი ა ჰქვია განახლებას). ეს სახელიც იმის მაუწყებელია, რომ წლის დაწყება-განახლება სექტემბერში ხდებოდა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ [illegible] ქართველოში საუკუნეთა [illegible] ახალი წლის დასაწყისად სხვადასხვა დრო ყოფილა მიჩნეული: სულ ძველად, წარმართობის ხანაში, ახალი წლის დასაწყისად ითვლებოდა დღევანდელი 6 აგვისტო. ქრისტიანობის დამყარების შემდეგ, დაახლოებით VII საუკუნიდან, ჩვენში ბიზანტიის გავლენით დამკვიდრებულა ახალი



წლის დაწყება 1 სექტემბრით. IX-X საუკუნეებში, სექტემბრის წელიწადთან ერთად, საქართველოში ახალი წლის დასაწყისად მიჩნეული ყოფილა აგრეთვე მარტი, ხოლო X საუკუნიდან თანდათანობით შემოსულა და XIV საუკუნეში უკვე საბოლოოდ დამკვიდრებულა ის კალენდარი, რომელიც დღესაც გავრცელებულია და ახალი წლის დასაწყისად 1 იანვარს თვლის.

**ზ. ჭუმბურიძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

**ნახ. თ. სამსონაძისა**






## ინკუბატორის კუ

ოდესღაც დედამიწაზე მრავლად არსებობდა ისეთი კუ, რომლის სიგრძე ორ მეტრს აღწევდა და ორ ცენტნერს იწონიდა. ამჟამად მხოლოდ ათასიოდეა ასეთი გოლიათი კუ და მათაც გადაშენება მოელით. ეს ქვეწარმავლები ყოველწლიურად გრძელ გზას გადიან — გადაცურავენ ხოლმე სამხრეთ-ჩინეთის ზღვას, რათა მალაის ნაპირებზე კვერცხები დადონ. შემდეგ, იმავე გზით კვლავ უკან ბრუნდებიან. მათ კვერცხებს კი ხშირად სხვადასხვა მტაცებელი ცხოველი ანადგურებს.



იმისათვის, რომ გოლიათი კუ სულ არ გადაშენდეს, მალაის ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრებმა დაიწყეს კუს კვერცხების შეგროვება და ცხელ ქვიშაში მათი ჩაფვლა სპეციალურად დაცულ ადგილებში. პირველ ცდაზევე 6 ათასი კვერცხი შეაგროვეს. ასეთი, ინკუბატორული წესით გამოჩეკილ კუს ერთ ხანს წყლიან გეჯაში ამყოფებენ, ხოლო როცა წამოიზრდება, ღია ზღვაში უშვებენ.

## უხუცესი ხეები

მექსიკის სოფელ ოაკსაკში არის მსოფლიოში ყველაზე „უფროსი" ხე — კვიპაროსი, რომლის ასაკი 2.000 წელს აღწევს. ხის სიმაღლე 150 მეტრია, წრეწირი — 30 მეტრი. ხეს ოცამდე მსხვილი ღერო აქვს. როდესაც მზე ზენიტშია, კვიპაროსის ჩრდილი 2.000 კვადრატულ მეტრ მიწას ფარავს.

აზერბაიჯანის ქალაქ ორდუბადის ტერიტორიაზე იზრდება ჭადარი, რომლის სიმაღლე ამჟამად 15-სართულიანი სახლის სიმაღლეს უტოლდება. მისი ტანის წრეწირი დაახლოებით 12 მეტრია, ხოლო ჩრდილი ასობით კვადრატულ მეტრს ფარავს. სპეციალისტების გამოანგარიშებით, ჭადარი დაახლოებით 1.200 წლისაა.

მეორე ქალაქში — ნუხაში არის ათასწლოვანი ჭადარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „დაშიუზის" ახლოს ხარობს 1.000-ზე მეტი წლის მუხა.

აზერბაიჯანში ხნიერ ხეებს შორის ჩემპიონია აკაკის ხე, რომელიც 1.400 წლისაა და იზრდება სოფელ კახში (საინგილო).

## ყველაზე დიდი ყვავილი

ყველაზე დიდი ყვავილი იზრდება იავასა და სუმატრას კუნძულებზე. ესაა ცნობილი რაფლეზია. მისი ყვავილის სიგანე ერთ მეტრამდე აღწევს, წონა — თითქმის ერთ ფუთს.

რაფლეზია პარაზიტი მცენარეა, არ გააჩნია საკუთარი ფესვები, ღერო და ფოთლები. იგი იკვებება იმ მცენარეთა წვენით, რომელთა ფესვებზედაც დასახლდება.

რაფლეზიის კვირტი თავდაპირველად ძალზე პატარაა, მაგრამ სწრაფად იზრდება და მალე ერთი კომბოსტოს თავის ტოლა ხდება, როცა რაფლეზიის ყვავილი გაიშლება, თავისი უზარმაზარი ზომითა და ლეშის საზიზღარი სუნით შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ბუზებისა და ხოჭოების გუნდი თავს დასტრიალებს მცენარეს. ყვავილის ხუთი წითელი და სქელი ფურცელი დაფარულია თეთრი მეჭეჭებით.

რაფლეზია იზრდება გაუვალ ტროპიკულ ტყეებში, სპილოს სავალ ბილიკებზე, იქ, სადაც ნიადაგი უხვადაა დაფარული ამ ცხოველის პატივით. სპილოები არიან რაფლეზიის თესლის მთავარი გამავრცელებელნი. სპილო ფეხით თელავს უსურვაზის ფესვებზე გაზრდილ რაფლეზიის ნაყოფს, რომლის თესლიც ეწებება მის ფეხებს. საკვების ძებნაში ადგილიდან ადგილზე გადასვლისას, ტყის გოლიათი თელავს სხვადასხვა მცენარეთა ფესვებს, სადაც ტოვებს რაფლეზიის თესლებს, რომლებიც ხელსაყრელ პირობებში მოხვედრისას იზრდება და უკვე ახალ ადგილს აყვავდება.

ეს საოცარი მცენარე პირველად აღწერა ჟოზეფ არნოლდმა, 1818 წელს. მისი სახელი მიეკუთვნა მცენარეს. „არნოლდის რაფლეზია" — ასე უწოდებენ ახლა ამ ყვავილს ბოტანიკოსები.

## ცხოველები და ფერები

ანსხვავებენ თუ არა ცხოველები ფერებს ერთმანეთისაგან? — ამ პრობლემით დაინტერესდა გერმანელი ზოოლოგი დუეკერი. ამას წინათ მან გამოაქვეყნა ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგები.

აი, როგორ ატარებდნენ დაკვირვებებს: საჭმელს ათავსებდნენ სხვადასხვა ფერის დახურულ ჭურჭლებში, რომელთა გამოცნობაც ადვილად შეიძლებოდა. ცხოველებს ერთ-ერთი ფერის ჭურჭლიდან აჩვევდნენ ჭამას. შემდეგ ამ ჭურჭელს დგამდნენ სხვა ჭურჭლებს შორის, ოღონდ ყველა ჭურჭელს სხვადასხვა ფერი ჰქონდა. არც ერთი მათგანი არ იღებოდა, მაგრამ თითოეულ ჭურჭელში ერთი და იგივე საჭმელი იყო.

ჩატარებული ცდების საფუძველზე დუეკერი ამტკიცებს, რომ ძაღლებსა და კატებს თითქმის არა აქვთ ფერების განსხვავების უნარი, ხოლო ვირთხებს, ზაზუნებს, თაგვებსა და კურდღლებს კი — სრულებით არა.

ცხენები, ცხვრები, ღორები, ქურციკები, ციყვები და კვერნები ნაწილობრივ არჩევენ ფერებს. ზოგიერთი ცხოველი მხოლოდ ორ ფერს გრძნობს — მწვანესა და წითელს. ირმები რუხ ფერს არჩევენ, ჟირაფები — ყვითელს, მწვანესა და ნარინჯისფერს.

მაიმუნების უმრავლესობა არჩევს მრავალ ფერს. ისინი ამ მხრივ თვით ადამიანსაც არ ჩამოუვარდებიან.

## ძაღლი — გაზის დარაჯი

აი, უკვე ექვსი წელია, ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტის გაზის კომპანიაში მსახურობს ძაღლი კეესი. იგი ყნოსვით იგებს, როცა მილგაყვანილობიდან გაზი იპარება.

ამას წინათ დანიის ერთ-ერთმა გაზის კომპანიამ თხოვა ჰოლანდიელებს, „ეთხოვებინათ" მისთვის კეესი. სამი კვირის განმავლობაში კეესმა გაზის გაპარვის 200 შემთხ-



ვევა აღმოაჩინა, იმ დროს, როცა ყველაზე სრულყოფილმა ელექტრონულმა ხელსაწყომ ამის ნახევარიღა აღნიშნა.

დანიის გაზის კომპანიებმა გადაწყვიტეს, ამიერიდან ფართოდ გამოიყენონ ძაღლების სამსახური.

ჩვენი მისამართი:
თბილისი,
პლეხანოვის, 91
ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 05328 ტირ. 28.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 2/VI-62 წ.
სტამბის შეკვ. 931. გამომც. შეკვ. 130. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ|კ «კომუნისტი».
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

# კროსვორდი





ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰორიზონტალურად:** 2. ოლქი შუა ვოლგისპირეთში; 6. მდინარე საქართველოში; 7. მინდვრის მავნებელი მწერი; 11. ქართული საბავშვო ჟურნალი; 12. ტბა ევროპაში; 13. ნაწარმოების მთავარი დედააზრი; 14. კოსმონავტი ძაღლი; 16. სოფელი ლეჩხუმში; 18. მუსიკალური ნიშანი; 20. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 21. ფხიანი, კარგი მჭრელი; 22. ქალაქი იტალიაში; 23. ტბა აფხაზეთში; 27. ძველი თბილისის უბანი; 28. დიდი ბრიტანეთის მთიანი მხარე; 29. სიგრძის ინგლისური საზომი; 30. ნავსადგური ჩინეთში; 32. ქალაქი ფინეთის ყურეში; 34. ვულკანი; 35. სპორტის სახეობა; 36. ტექნიკური კულტურა; 37. გარეული ცხოველი.

**ვერტიკალურად:** 1. ავსტრიის დედაქალაქი; 2. შავი ზღვის ძველი დასახელება; 3. ზღვა აზიაში; 4. ქალაქი ბალტიისპირეთში; 5. არხი ევროპაში; 8. მდინარე პოლონეთში; 9. სახელმწიფო აფრიკაში; 10. მითოლოგიური გმირი; 14. ხიდის ნაწილი; 15. ხილი; 16. ქალაქი ფინეთში; 17. ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ჟურნალი; 18. უდაბნოში ქარის მიერ წარმოქმნილი ქვიშის ბორცვი; 19. ფრინველი ყარყატის ოჯახიდან; 24. ილეთი ქართულ ჭიდაობაში; 25. მცენარეთა სამეფო; 26. სახელმწიფო აზიაში; 31. სახის გამომეტყველება; 32. თხიერი საწვავი; 33. მტაცებელი ფრინველი; 34. მდინარე გერმანიაში; 37. მდინარე ციმბირში.

შეადგინა **ა. ფხაკაძემ.**

## გამოცანა

კილომეტრის
სიგრძის ექსპრესს
რა სიჩქარე
უნდა ექნეს,
რომ გვირაბი —
სიგრძით ტოლი
გაირბინოს
წუთში ქროლვით.

ნ. კლდიაშვილი

## თავსატეხი



ჭადრაკის დაფა საჭიროა დაიყოს ოთხ ტოლ ნაწილად ისე, რომ ყოველ მათგანში მოჰყვეს ორი თეთრი და ერთი შავი პაიკი.

ბ. ქართველიშვილი

## შარადა

*ერთი ფრინველი არის*
*გამოიცან რომელი,*
*ლობეზე შემოჯდება*
*კარგის მახარობელი.*

*მის სახელს მოაშორე*
*თანხმოვანი მესამე,*
*სარეველად ამოდის*
*სადაც პურსა თესავენ.*

**დ. ხმიადაშვილი**

# პასუხები

## კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. დოლი; 2. კაპარჭი; 3. მარაბდა; 4. უნგრეთი; 7. გაიდარი; 8. რა; 9. სი; 10. ანაკლია; 11. არტეკი; 12. აჰ; 13. საყვირი; 14. ამირანი; 16. იორი; 17. ომი; 18. ია.

**ჰორიზონტალურად:** 3. „მუმუ"; 5. ილია; 6. ადლი; 7. გორი; 9. სურა; 11. არფა; 13. სილა; 15. დევი; 19. იელი; 20. იავა; 21. იხვი.

## აგა სცადე

პირველ სწორკუთხედში, მზე, მეორეში — ქადა, მესამეში — ვარდი, მეოთხეში — უთო. ამ სიტყვებს მოაკლდება იმდენი ასო თავსა და ბოლოში რამდენი წერტილიც იყო დასმული სწორკუთხედებში და მიიღება — „მზად ვართ!"

## შარადები

1. პიონერი; 2. ალამი.

659/223

ეროვნული
ბიბლიოთეკა

